

24 საათი

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

"ამ პოლიტიკური კრიზისი არ არის"

A2



სეხსლის ზღვარზე

A7



მანასის ბაზის საკითხი დიად რჩება

A8



ახალი ბართიანება რუსეთის ირგვლივ

დიმიტრი ავალიანი

ურჩი ბელარუსისთვის "რძის ომის" გამოცხადების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ახალი ინტეგრაციული პროექტი წამოიწყო - რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირი გააფორმა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას

რუსეთი ამერიკიდან სწორედ ახალი გაერთიანების სახელით შეეცდება. ერთ-ერთ მთავარ წინააღმდეგობას ამ მიზნის მიღწევაში მოსკოვისთვის საქართველო წარმოადგენს, რომლის თანხმობის იმედი რუსეთს აღარ აქვს. ექსპერტები რუსეთის გადაწყვეტილებას სწორედ ამ წინააღმდეგობისთვის გვერდის ავლის სურვილით სხნიან.

რუსეთი, ბელარუსი და ყაზახეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) გასაწევრიანებლად მოლაპარაკებებს წყვეტენ. ამის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირის უმაღლესი ორგანოს სხდომაზე განაცხადა. პუტინმა აღნიშნა, რომ ვმო-ში განწევრიანების

პროცესი ბოლო დროს ინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორად იქცა.

გუშინ სამივე ქვეყნის პრემიერებმა მხარი დაუჭირეს ერთიანი საბაჟო კავშირის შექმნას, რომელიც ფუნქციონირებას მომავალი წლის 1 იანვრიდან დაიწყებს.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე

"ერთგულაზის ფიცის" დასტური

გიორგი ასანიშვილი

თბილისში ვიზიტად მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონი ადასტურებს, რომ საქართველო ბარაკ ობამას ახალი ადმინისტრაციისთვის სტრატეგიულ პარტნიორად რჩება და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა ყველა იმ სფეროში გაღრმავდება, რომლებშიც მჭიდრო ურთიერთობები აღარეც არსებობდა. "შეერთებული შტატებისთვის საქართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ ვიცავთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მხარში ვუდგავართ მას," - აცხადებს თეთრი სახლის წარმომადგენელი და იქვე დასძენს, რომ ამერიკა მოითხოვს, რუსეთმა პატივი სცეს მედვედევი-სარკოზის შეთანხმებას. გორდონი ქართულ პოლიტიკურ ელიტას ჰპირდება, რომ ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე საუბარი საქართველოს საკითხსაც შეეხება.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



დავით ბაქრადე და ფილიპ გორდონი

ოპოზიციის საუბრები გორდონთან

დათო ბაშისონია

თბილისში ვიზიტად მყოფი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონი გუშინ ოპოზიციის ლიდერებს შეხვდა. ევროპის და ევრაზიის საკითხებში პილარი კლინტონის მოადგილე როგორც საპარლამენტო, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს ესაუბრა. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთან შეხვედრაზე არასაპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე ლიდერის ვაშინგტონში მიწვევის საკითხი განიხილეს.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ფილიპ გორდონთან შესახვედრად არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებიდან პირველი "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია მივიდა.

ბაზრძალაბა A3 გვერდზე



ირაკლი ალასანია და ფილიპ გორდონი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

პენის სადაზღვეო ჯგუფი

"აქ პოლიტიკური კრიზისი არ არის"

გუშინ საქართველოს მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. კანცელარიის შენობის ბლოკირების გამო მინისტრთა კაბინეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ შენობაში შეიკრიბა. სხდომას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წარუძღვა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ქვეყანაში ისეთი პროექტების განხორციელება მიმდინარეობს, რომლებიც ქვეყნის გეოგრაფიას რეალურად შეცვლის. "არასდროს საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ომის შემდგომ პერიოდში იმყოფება, არ განხორციელებულა ამდენი ისტორიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტი, რადგან ამით რეალურად ვცვლით ქვეყნის გეოგრაფიას," - განაცხადა სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე და ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ კონკრეტულად ისაუბრა.

კერძოდ, ქვეყნის პირველი პირის თქმით, მომავალი წლის შემოდგომამდე გომბორზე თბილისი-თელავის დამაკავშირებელი ახალი გზა გაიხსნება, რომლის საშუალებითაც ამ ორ ნერტილს შორის მანძილის დაფარვა 50 წუთში იქნება შესაძლებელი. "ასეთი გზა გომბორზე არასდროს ყოფილა. ეს იქნება რევოლუციური გარღვევა და ამით მოხდება წარმოდგენის გაზრდა კახეთზე," - განაცხადა სააკაშვილმა, რომელიც მომავალი წლისთვის კახეთის რეგიონიდან ლვინის უხვ მოსავალსაც პროგნოზირებს.

გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, დასავლეთ საქართველოს გზაზე რუსიანად ავტობანის მშენებლობა წლის ბოლომდე დამთავრდება. "სამი თვით უსწრებთ ავტობანის მშენებლობის გეგმას. ავგისტოში ჩვენ მივალთ გორამდე, ფაქტობრივად, გვექნება ოთხივე ტრასა, წლის ბოლომდე გზა დაიგება რუსიანად და მიუახლოვდება რიკოთის უღელტეხილს. ახალი წლიდან კი სამტრედიის-ზესტაფონის გზას დაიწყებთ, პარალელურად კი მივხედავთ აჭარის შემოვლით გზას," - განმარტა სააკაშვილმა



და აქვე დასძინა, რომ "საქართველოში ავტობანით ორჯერ შემცირდება დროს და სანავის დანახარჯი, რითიც საქართველოს ეკონომიკა ბევრად უფრო ეფექტურად ამოქმედდება."

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმედოვნებს, რომ საქართველოს ეკონომიკა 2010 წლიდან სხვა ქვეყნების დახმარების გარეშე შეძლებს განვითარებას. მან ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. "ეს დამატებითი სამუშაო ადგილებს შექმნის, რაც მოგვცემს საშუალებას, მომავალი წლიდან საქართველო აღარ იყოს დამოკიდებული უცხოურ დახმარებაზე. ყოველივე ამის შედეგად ჩვენ დაიწყებთ ჩვენი ეკონომიკის ჯანსაღ განვითარებას," - აღნიშნა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ "შუდმივად უცხოურ დახმარებაზე დამოკიდებულება ქვეყნისთვის დამანგრეველია".

პრეზიდენტის განმარტებით, მთავრობა სხვადასხვა პროექტების

განხორციელებაზე აქტიურად მუშაობს. იგეგმება რამდენიმე ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. კერძოდ, "მტკვარი ჰესის" და "ფარვან ჰესის". ასევე 500-კილოვატის ხაზის მშენებლობა.

პრეზიდენტის მტკიცებით, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ არის. "საქართველო იმყოფება ძალიან რთულ ვითარებაში, მაგრამ აქ პოლიტიკური კრიზისი არ არის. მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ, რა არის პოლიტიკური კრიზისის ნიშნები? ეს არის მთავრობის დაშლა. სხვათა შორის, ერთ დროს ასეთ მთავრობაში მეც ვიყავი, რომელიც ნამდვილ ცირკს ჰგავდა, სადაც ყველა ერთმანეთს ლანძღავდა, არ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება. ასეთი რამ ახლა ნამდვილად არ ხდება," - განაცხადა სააკაშვილმა და განმარტა, რომ მთავრობა მუშაობს, ხელისუფლების ყველა რგოლი, მათ შორის რეგიონებში, კონსოლიდირებულია. პოლიტიკური კრიზისის მეორე ნიშანი, სააკაშვილის განმარტე-

ბით, არის ის, როცა მთავრობა პენსიებს და ხელფასებს ვეღარ გასცემს და, ფაქტობრივად, უუნაროა. "ჩვენ ასეთი ნიშანიც არ გვაქვს. ლატვიის ეკონომიკა მეოთხედით მცირდება, ესტონელებს 11-12-პროცენტის კლება აქვთ, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკაც, სავარაუდოდ, 10 პროცენტით შემცირდება, თურქეთს უკვე აქვს 10-პროცენტის კლება, ჩვენ კი გვაქვს შანსი, რომ ეს წელი მინუსით არ დავასრულოთ, თუმცა თბილისში მიმდინარე აქციებმა 1-2-პროცენტის ეკონომიკური ზრდა დაგვაკარგვინა," - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი ინფორმაციით, თბილისში ბოლო ორი თვის განმავლობაში მიმდინარე საპროტესტო აქციებმა მართო დედაქალაქის ცენტრში სამუშაო ადგილი 10-15 ათას ადამიანს დააკარგვინა. "საპროტესტო აქციებმა, რომლებიც მოგვიწვევს თბილისის მართო ცენტრში, ბოლო თვეების განმავლობაში 10-15 ათასი სამუშაო ადგილი დაგვაკარგვინა, კვა-

ლიფიციური ხალხის სამუშაო ადგილები. ყველაფერი მარტივია, სასტუმროებში აღარ ჩერდებიან ინვესტორები, რადგან ირგვლივ სრული უნერვიობაა. გაჩერდა მაღალი, რესტორანი, კინოთეატრი, სამკურნალო დაწესებულება. იმედია, პოლიტიკურ ჯგუფებს ეყოფათ გონიერება, გააცნობიერონ, რომ ამით ქვეყნის ეკონომიკას აზარალებენ," - დასძინა სააკაშვილმა. იგი პოლიტიკურ უმცირესობას გონიერების გამოჩენისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აფრთხილებს, რომ "რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება პროტესტი, მით მეტი სამუშაო ადგილი დაიკარგება".

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ჩვენ "პატარა საზოგადოება" ვართ, რის გამოც ერთმანეთთან გაუცხოება და ერთმანეთზე გადაკიდება არ უნდა დავუშვათ.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ხელისუფლების ოპონენტებს საზოგადოების წევრების ერთმანეთზე გადაკიდების მცდელობა აქვთ. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ აღნიშნა, რომ დიალოგს ალტერნატივა არა აქვს. მან ოპონენტებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაც შესთავაზა, რათა ამ პოსტიდან უკეთ დინახოს ოპოზიციამ, თუ რა ხდება ქვეყანაში. მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციის საპროტესტო აქციებს გამოეხმაურა.

მან აღნიშნა, რომ ესმის იმ ადამიანების, რომლებიც პროტესტს უკიდურესი გაჭირვების გამო გამოთქვამენ. მაგრამ, როცა აქციების მთავარი ორგანიზატორების ერთი ნაწილი 100 000 დოლარის ღირებულების ავტომანქანებით დადის, შემდეგ აქციაზე ნახევარი საათით მივა და "გალიებში" უკიდურესად გაჭირვებულ თანამოქალაქეებს დატოვებს, ეს ნამდვილად არ არის ზნეობრივი საქციელი. მიხეილ სააკაშვილი აქვე სახელმწიფოს მხრიდან კორუფციასთან ბრძოლასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამჟამად საქართველო კორუფციის მაჩვენებლებით ისეთ არაკორუმპირებულ ქვეყნებს უტოლდება, როგორებიც არიან პოლანდია და დანია. საკუთარი ინფორმაცია

არაფერი ახალი

პრეზიდენტის და გაჩეჩილადის შეხვედრის შეფასებები

ნათია მსხილაძე

პოლიტიკოსები

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, "ალიანსი საქართველოსთვის" თავმჯდომარე ირაკლი ალასანიას თაყვის კოლეგის ლევან გაჩეჩილადის გადაწყვეტილებას პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრის შესახებ, ძალიან სწორ და გაბედულ ნაბიჯად აფასებს.

"მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის აზრთა საგრძნობი თანხვედრა მთელ რიგ საკითხებში არ არსებობს, მნიშვნელოვანია, შესრულდეს ამ შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმებები," - აღნიშნა ყურნალისტებთან საუბრისას ალასანიამ.

ალასანიას განცხადებით, ლევან გაჩეჩილადის, რომელიც არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია, მისი ნდობის მანდატი ჰქონდა.

"ემარჯვებულების" წარმომადგე-

ნელ ფიქრია ჩიხრაძის შეფასებით, პრეზიდენტ სააკაშვილისა და ლევან გაჩეჩილადის შეხვედრას რეალურად არაფერი მნიშვნელოვანი არ მოუტანია. "მართალია, ითქვა, რომ შეიძლება პატიმრობაში მყოფი რამდენიმე ადამიანი გაათავისუფლონ, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს მოლაპარაკების საგანი," - მიაჩნია ჩიხრაძეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს იმედი აქვს, რომ მიხეილ სააკაშვილსა და ლევან გაჩეჩილადის შორის გამართულ შეხვედრას გაგრძელება მოჰყვება.

"ხელისუფლება მზად არის დიალოგისთვის ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერი ფორმატით და ნებისმიერ ლიდერთან, ვინც გამოთქვამს დიალოგის სურვილს. იმედი მაქვს, რომ გუშინდელ შეხვედრას მოჰყვება გაგრძელება, როგორც პრაქტიკული ნაბიჯების მხრივ, ისე თვითონ დიალოგის პროცესის გაგრძელების თვალსაზრისით," - განაცხადა ბაქრაძემ.

ექსპერტები

როგორც ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განმარტა, პრეზიდენტისა და ლევან გაჩეჩილადის შეხვედრა იყო ხელისუფლების ტაქტიკური სვლა აშშ-ს სახელმწიფო მდივან ფილიპ გორდონის ვიზიტის გამო, რათა ეჩვენებინა, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან დიალოგის რეჟიმშია. "თუ არ შეხვედბოდა ლევან გაჩეჩილადი მიხეილ სააკაშვილს, პრეზიდენტს ექნებოდა სათქმელი, რომ, აი, მე მინდა მასთან საუბარი, თუმცა ისინი უარზე არიან. შეხვედრის შემდეგ კი იტყვის, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან დიალოგის რეჟიმშია. შეხვედრას შედეგი, რა თქმა უნდა, არ ჰქონია, მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი - ასეთ ვითარებაში ადამიანების შეხვედრა კარგია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს არის მარტივი გზა უნდობლობის გადასალახად. ნდობა კი არის საფუძველთა საფუძველი, რათა საბოლოო ჯამში პრობლემების მოგვარება დაიწყოს. როდესაც უნდობლობის გარეშე, ეს კალა-

ცია გრძელდება, ვერ ჩერდება და საბოლოო ჯამში ძალიან მაღალი რისკები ჩნდება," - აღნიშნა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა გაზეთ "24 საათთან" საუბრისას.

ექსპერტ ანდრო ბარნოვის შეფასებით კი, გაუგებარია შეხვედრის აზრი, რადგან არა თუ ახალ, არამედ ყველაზე მნიშვნელოვან ძველ თემებზეც კი არ ყოფილა საუბარი. "სინამდვილეში ველოდი, რომ ამ პროცესში რაღაც შედეგი, სიახლე იქნებოდა, მაგრამ ვერაფერი დავინახე. ქვეყანა ძალიან რთულ მდგომარეობაშია. ეს მარტო შიდა პოლიტიკური კრიზისის არ გულისხმობს. ძალიან სერიოზული საგარეო საფრთხეები არსებობს - საუბარია რუსეთზე. აქედან გამომდინარე, ქვეყნის შიგნით შექმნილ სიტუაციაზე რაღაცნაირად უნდა იქნას კონსენსუსი მიღწეული. ირადესაც საპროტესტო აქციები ორ თვეს გრძელდება, სალაპარაკოდ იწვევ ერთ-ერთ გამორჩეულ ლიდერს და ახალს არაფერს ეუბნები, არ შეიძლება," - აღნიშნა "24 საათ-

თან " საუბრისას ექსპერტმა ანდრო ბარნოვმა.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, სააკაშვილ-გაჩეჩილადის შეხვედრამ ცხადყო, რომ ხელისუფლებას ოპოზიციასთან დამოკიდებულებაში სტრატეგია არ შეუცვლია და მხარეები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური ბრძოლის რესურსი ჯერ არ ამოუწურავთ. "ოპოზიციისადმი დამოკიდებულებაში ხელისუფლების სტრატეგიის უცვლელია ოპოზიციას პროცესების რადიკალიზაციის უფრო მეტ არგუმენტს აძლევს, მაგრამ რეალური მოლაპარაკებები ჯერ არც დაწყებულა, რაც მინიშნებს, რომ ბრძოლის რესურსი არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას ჯერ არ ამოუწურავთ," - აღნიშნა პოლიტოლოგმა.

ექსპერტის აზრით, ხელისუფლებასა და ოპოზიციის შორის რეალური მოლაპარაკებები მანამდე არ დაიწყება, ვიდრე მხარეები ზავს ნამდებთანად მიიჩნევენ და პოლიტიკური ბრძოლის რესურსებზე ამყარებენ იმედებს.

გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "მეზა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუაშვილი, პაატა მუხამიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშინია (რეჟია), ანა ფარუაშვილი (სპორტი). რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლევაია ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიმკარიანი, დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ახალი გაერთიანება რუსეთის ირგვლივ

პირველი გვარდია

ამერიკიდან რუსეთი, ბელარუსი და ყაზახეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებებს ერთიანად, ახალი გაერთიანების სახელით აწარმოებენ.

როგორც რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა განაცხადა, რუსეთი არ ამბობს უარს ვმო-ში გაწევრიანებაზე, თუმცა, მისი თქმით, "პროცესი გაჭიანურდა და ბოლო წლებში დაპირებებით კვებას დაემსგავსა".

მოლაპარაკებებს ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად რუსეთი უკვე

16 წელია აწარმოებს. იმის შესახებ, რომ მეტის მოთმენა მოსკოვს აღარ შეუძლია, რუსმა მაღალჩინოსნებმა ამას წინათ პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე განაცხადეს.

ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების გზაზე საქართველო გახდა. თბილისმა უკან გაიწვია თანხმობა რუსეთის წევრობაზე და ფსოუსა და ზემო როკის უკანონო სასაზღვრო პუნქტების ერთობლივი გაკონტროლება მოითხოვა.

გარდა ამისა, გარკვეული წინააღმდეგობები რუსეთს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მოლაპარაკებისას შეექმნა, მის მიერ შიდა ბაზ-

რის დაცვისთვის შემოღებული ბარიერების გამო.

რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საბაჟო კავშირის გაფორმებით რუსეთმა ვმო-ში დამოუკიდებლად გაწევრიანებისთვის ყველა გზა მოიჭრა. ახალი მოლაპარაკებები კი, რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის გაერთიანების სახელით, საუკეთესო შემთხვევაში, წარმატებით ერთი-ორი წლის შემდეგ დაგვირგვინდება. თუმცა, ისიც შესაძლებელია, მოლაპარაკებები კიდევ უფრო გართულდეს და გაჭიანურდეს.

პუტინის გადაწყვეტილების მოტივების ახსნისას ბელარუსმა პოლიტიკურმა მიმომხილველმა რომან

იაკოვლევსკიმ "ქართული ფაქტორის" მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მისი თქმით, საბაჟო კავშირის ვმო-ში გაწევრიანების იდეა ბელარუსის ხელისუფლებისთვის მოულოდნელი იყო, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ 11 ივლისისათვის მინსკი ლიტვასთან მოლაპარაკებებს გეგმავდა სწორედ ვმო-ში გაწევრიანების საკითხზე.

პუტინმა ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ საქართველოსთან თანხმობის მიღწევის იმედი არ აქვს. ამიტომაც, მან გადაწყვიტა გაერთიანება ყაზახეთთან, რომელიც საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია და რუ-

სეთთან "რძის ომით" დაზარალებულ ბელარუსთან, მიიჩნევს ბელარუსი ექსპერტი.

"მოლაპარაკებებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე ცვალებადი წარმატებით რუსეთი 2008 წლის ზაფხულამდე აწარმოებდა. ანუ იმ დრომდე, სანამ სამხრეთ ოსეთში ომი დაიწყებოდა," - აღნიშნავს, თავის მხრივ, რუსი ექსპერტი ალექსანდრ პოლივანოვი. მისი აზრით, საბრძოლო მოქმედებებმა და თბილისთან ურთიერთობების საბოლოოდ გაფუჭებამ რუსეთი ვმო-ში გაწევრიანების საკითხში "რამდენიმე წლით უკან გადაწია".

"ერთგულების ფიცის" დასტური

პირველი გვარდია

ამერიკელი დიპლომატის ასეთი დამაჯერებელი ტონი და საქართველოსადმი "ერთგულების ფიცი" სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებისთვის სასიამოვნო მოსასმენი აღმოჩნდა.

"თეთრი სახლი აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ყველა ასპექტში. ეს ეხება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სეპარატისტული და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების არალიკვირების პოლიტიკას, საქართველოს ევროატლანტიკური ორიენტაციის მხარდაჭერას. ყველა ამ მიმართულებით ამერიკის ახალი ადმინისტრაციის კურსი უცვლელი დარჩება და ეს საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია," - აღნიშნა ფილიპ გორდონთან გუშინ გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტის სპიკერმა დავით ბაქრაძემ.

იგი იმ გარემოებითაც არის კმაყოფილი, რომ ოფიციალურ ვაშინგტონსა და თბილისს საქართველოში საერთაშორისო მისიების გაგრძელების მიმართ საერთო ინტერესი აღმოაჩნდა.

"დაფიქსირდა პოზიცია, რომ არსებობს დაინტერესება მისიების მუშაობის გაგრძელებაზეც, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და რუსული ოკუპაციის შედეგად შექმნილი ვითარების დაკანონების ხარჯზე," - აცხადებს დავით ბაქრაძე.

მისივე თქმით, ამერიკელ სტუმართან საუბრის დროს განხილული იყო აგრეთვე ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე მოვლენები და დაგეგმილი დემოკრატიული რეფორმების საკითხი.

"თეთრი სახლის წარმომადგენელმა ამ შემთხვევაშიც სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა. მან გაიმეორა ყველა ის სიგნალი, რომელსაც სხვა უცხოელი მეგობრებისგან ვიღებთ - აუცილებელია, რომ ყველა პროცესი მხოლოდ პოლიტიკურ ჩარჩოებში განვითარდეს," - დასძენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

ფილიპ გორდონთან გამართულ მოლაპარაკებებში, დავით ბაქრაძესთან ერთად, პარლამენტის ვიცე-სპიკერები და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

ევროპასთან ინტეგრაციის სა-

პარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილის შეფასებით, ამერიკის ელჩის რეზიდენციაში გუშინ გამართული შეხვედრა ორივე მხარისთვის საინტერესო იყო.

"ამერიკის ახალ ადმინისტრაციას აინტერესებს, რას წარმოადგენენ მისი პარტნიორი "ახალი დემოკრატიები", რომელთა რიცხვში საქართველოც შედის. ჩვენ კი ვვინტერესდებით, რეალურად რას ითვალისწინებს ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების "გადატვირთვა". გორდონის მიერ მკაფიოდ განმარტა, რომ "გადატვირთვა" არ განხორციელდება ამერიკის პარტნიორი ქვეყნების თავისუფალი არჩევანის შეზღუდვის ხარჯზე და არ მოხდება რუსეთის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე მისი ექსკლუზიური გავლენის ზონების გამყარება," - აცხადებს დარჩიაშვილი.

ამერიკელ დიპლომატთან შეხვედრის კიდევ ერთი მონაწილე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია კი, როგორც ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, სხვა რამით არის კმაყოფილი. მისი თქმით, ფილიპ გორდონმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომ საქართველოში ადა-

მიანის უფლებებსა და მედიის თავისუფლებას განსაკუთრებული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს. კერძოდ, როგორც დავითაია აღნიშნავს, ნაშოიჭრა ტელეკომპანია "მესტროსთვის" სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის მინიჭების თემაზე.

მოგვიანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, მედიის საკითხს თავად გორდონიც შეეხო.

"საქართველოში მხარდაჭერილი უნდა იყოს სიტყვის, პრესის თავისუფლება. რაც უფრო დემოკრატიული იქნება თქვენი ქვეყანა, მით უფრო კარგი პარტნიორი იქნება ის ამერიკისთვის," - აღნიშნა ამერიკელმა სტუმარმა.

იგი პრესკონფერენციაზე გრივად ვაშაძის იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, "ქართული მხარე არასდროს დაუშვებს ისეთი მისიების და რეზოლუციების არსებობას, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დაარღვევს."

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე მიიჩნევს, რომ "გაერო-ს გენერალურ მდივან ბან კი მუნის მოხსენება საქართვე-

ლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ძირის გამოთხრას არ ემსახურებოდა."

გორდონის განცხადებით, ნიუ-იორკში მიმდინარეობს მოლაპარაკებები აფხაზეთში გაერო-ს მისიის გაგრძელების შესახებ.

"ჩვენ ვეცდებით, რომ საქართველოში გაერო-ს მისია გაგრძელდეს, რადგან გვინდა, საქართველოში სტაბილური განვითარება იყოს," - აღნიშნავს ამერიკის ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

რაც შეეხება მოსკოვის მიერ საქართველოში ეუთო-ს მისიის საქმიანობის დაბლოკვას, ამერიკელი დიპლომატი ამის გამო სინანულს გამოთქვამს.

"ეუთო-ს ყველა წევრი თანახმა იყო საქართველოში მანდატის გაგრძელებაზე და ეს მხოლოდ რუსეთმა დაბლოკა, რაც თავისთავად სამწუხარო ფაქტია," - აცხადებს პილარი კლინტონის მოადგილე.

გუშინვე ფილიპ გორდონი დახურულ კარს მიღმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ უშიშროების საბჭოს მდივანი ეკა ტყეშელაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია.

ოპოზიციის საუბრები გორდონთან

პირველი გვარდია

მოგვიანებით შეხვედრაზე მივიდნენ "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ხელმძღვანელი ნინო ბურჯანაძე და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რეზიდენციაში გამართული შეხვედრის შემდეგ ალასანიამ განაცხადა, რომ გორდონთან მან გაერო-ს მისიის საკითხი განიხილა. გარდა ამისა, საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებას.

"ვილაპარაკეთ კონფლიქტურ ზონებში შექმნილ ვითარებაზე, იმის აუცილებლობაზე, რომ საერთაშორისო მისიები უნდა დარჩნენ საქართველოში," - აღნიშნა ალასანიამ. ამასთან, მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოს შიდაპოლიტიკურ საკითხებზე. "მქონდა ძალიან დეტალური საუბარი საქართველოში არსებულ შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე, თუ როგორ ვხედავთ აშშ-ს, როგორც სტრატეგიული პარტნიორის მონაწილეობას ამ კრიზისის განმუხტვაში," - განმარტა ალასანიამ. ჟურნალისტებთან საუბრისას მან განაცხადა, რომ ამერიკელი დიპლომატის მხრიდან იყო შემოთავაზება, რომ მას და ოპოზიციის ლიდერებს შორის უფრო ინტენსიური კავშირი დამყარდეს. ალასანიას თქმით, ფილიპ გორდონს სურს,

არასაპარლამენტო ოპოზიციისგან ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობა ჰქონდეს. "ბატონი გორდონი მაღალი რანგის დიპლომატია და მას დასკვნის გამოსატანად ყველა მხარესთან კავშირი სჭირდება. მისი შემოთავაზებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება," - განაცხადა ალასანიამ. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ "ალასანი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანიამ მომავალ კვირას აშშ-ში ვიზიტით მიემგზავრება.

ჰილარი კლინტონის მოადგილესთან გამართული შეხვედრა დადებითად შეაფასა ნინო ბურჯანაძემ. მისი აზრით, შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მიმართ მიდგომა შეცვალა. "არასდროს უნდა განმეორდეს შეცდომა, რომ მხარდაჭერილი იყოს კონკრეტული პოლიტიკური ლიდერი და არა ხალხი და არა სახელმწიფო. ახლა კი ჩვენ ნამდვილად დავინახეთ მხარდაჭერა საქართველოსადმი - საგანგებოდ ქართველი ხალხისადმი - ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი," - განაცხადა ბურჯანაძემ.

ფილიპ გორდონთან შეხვედრის შემდეგ ლევან გაჩეჩილაძემ ჟურნალისტებს შეხვედრის დეტალები განუმარტა: "განიხილეთ, რომ ვცხოვრობთ პოლიციური და მედიატერორის რეჟიმის ქვეშ. აგრეთვე, რა მდგომარეობაშია ადამიანის უფლებები, თითოეული



ლევან გაჩეჩილაძე და ნინო ბურჯანაძე ფილიპ გორდონთან შეხვედრაზე

ჩვენგანის თუ თითოეული ოჯახის თავისუფლება და კეთილდღეობა. ვილაპარაკეთ რუსულ ფაქტორზეც და პრობლემების აღმოფხვრის გზებზეც." რაც შეეხება სახელმწიფო მდივნის მოადგილის პოზიციას, გაჩეჩილაძის თქმით, გორდონმა მათ სერიოზული დახმარება აღუთქვა. "ამერიკა ფულს კონკრეტული ადამიანის სურვილის მიხედვით არ დახარჯავს და ეს თანხა საქართველოში ადამიანის უფლებების დასაცავად იქნება მიმართული," - განაცხადა მან.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ შეხვედრაზე

განიხილეს ირაკლი ალასანიას, ლევან გაჩეჩილაძის და ნინო ბურჯანაძის ვაშინგტონში მიწვევის საკითხი. აშშ-ში ვიზიტის კონკრეტული თარიღის შესახებ ჯერჯერობით საუბარი არ ყოფილა. ოპოზიციის ლიდერები ფილიპ გორდონის წინადადებით კმაყოფილი არიან. "კარგი რამეების სუნი მცემს. გამოირიცხულია, ვინმემ ეს გამძლეობა და ენერჯია გატეხოს," - აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

შეერთებული შტატებიდან ჩამოსული მაღალი რანგის დიპლომატი ცალკე შეხვდა "ქრისტიან-დემოკრატებს." საპარლამენტო უმცი-

რესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ფილიპ გორდონთან შეხვედრის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ საუბრის ძირითადი თემა პოლიტიკურ პროცესებს ეხებოდა, კერძოდ - საკონსტიტუციო ცვლილებებს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, სასამართლოს რეფორმას და მედიის დამოუკიდებლობას, თუმცა გორდონი ეკონომიკური საკითხებითაც დაინტერესდა. გიორგი თარგამაძესთან ერთად, გორდონთან შეხვედრას ესწრებოდა ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" წევრი ნიკა ლალიაშვილი. საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა გუშინდელ შეხვედრაზე მკაფიოდ განაცხადეს, რომ საქართველოში სატელევიზიო მედიაზე ზეწოლა მიმდინარეობს. "აღვნიშნე, რომ დიდი უსამართლო ჩაიდინეს ტელეკომპანია "იმედის" მიმართ და ის აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს თავის კანონიერ მფლობელს," - დასძინა გიორგი თარგამაძემ. მან იმედი გამოთქვა, რომ დასავლეთის რჩევები სერიოზულ დინამიკას შესცხადს საქართველოს დემოკრატიზაციას. რაც შეეხება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის დამოკიდებულებას, უმცირესობის ლიდერმა განმარტა, რომ შეხვედრაზე ფილიპ გორდონს პოზიციები არ გამოუხატავს, რადგან დიპლომატები, როგორც წესი, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისადმი სიმპათიებს არ ამჟღავნებენ.

პატიმრის დედა თვითგაკვლავლობით იბუქრება

ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრის რობერტ ხარაიშვილის დედა, **I ჯგუფის ინვალისი** თამარ ბატიაშვილი, პროტესტის ნიშნად, სასჯელალსრულების სამინისტროს შენობის წინ, თვითმკვლელობით იმუქრება. თამარ ბატიაშვილი შევილი ციხის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვს.

როგორც თამარ ბატიაშვილმა "ადამიანის უფლებათა ცენტრს" განუცხადა, ბოლო ორი თვის განმავლობაში არაადამიანური მოპყრობის და უყურადღებობის შედეგად მისი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. პატიმარმა და მისი ოჯახის წევრებმა დახმარებისათვის არაერთხელ მიმართეს

სასჯელალსრულების სამინისტროს, სახალხო დამცველის აპარატს, მაგრამ უშედეგოდ. 2009 წლის აპრილში ტელეკომპანია "იმედის" ეთერში ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არსებული გაუსაძლისი პირობების შესახებ სიუჟეტი გავიდა. სიუჟეტი დაწესებულების თანამ-

შრომლების მიერ პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე რობერტ ხარაიშვილის ახლობლებმა ისაუბრეს. სიუჟეტიდან ცნობილი გახდა, რომ სიუჟეტის მომზადების დროს პატიმარი გლდანის სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, თუმცა სიუჟეტის ეთერში გასვლიდან რამდენიმე დღეში პატიმარი კვლავ ქსანში დააბრუნეს, იმაზე მძიმე პირობებში, ვიდრე მანამდე იმყოფებოდა, რამაც მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესა. მედიკამენტების გარეშე დარჩენილი პატიმარი საკვებს ვეღარ იღებს, სისხლს

ანთხევს და სიკვდილის პირას არის მისული. "ადამიანის უფლებათა ცენტრი" სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს დიმიტრი შაშკინს მიმართავს და სასწრაფო რეაგირებისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს. ორგანიზაცია პატიმრის გარდაცვალების შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლის მოსპობისთვის პასუხისმგებლობას სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აკისრებს. **საკუთარი ინფორმაცია**

იუსტიციის სამინისტროს სტრატეგიული გეგმა

ცვალებადი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური გარემოს გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტრო მიიჩნევს, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც შემდგომი სამი წლის განმავლობაში სამინისტროს საქმიანობის სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი 2009 წლის მარტში დაიწყო.

სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის სამინისტროს ყველა რგოლის წარმომადგენლებმა. გეგმის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებული იქნება იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სხვა სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და ზოგადად საზოგადოების მიერ სამინისტროს სტრატეგიული გეგმის მიმართ გამოთქმული მოსაზრებები. პროექტში ასახულია იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების, საშუალო რგოლის მენეჯერებისა და მინისტრის მოადგილეების მოსაზრებები.

იუსტიციის სამინისტროს 2009-2011 წლების სტრატეგიული გეგმის თანახმად: "საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი რგოლი, რომელიც ემსახურება საზოგადოებას, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, კანონიერების განმტკიცებას და ეროვნული კანონმდებლობის განვითარებას და სრულყოფას საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციისა და ჯეროვანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის გზით, საჯარო და სამოქალაქო სექტორებთან თანამშრომლობით."

გეგმის თანახმად, "იუსტიციის სამინისტრო საქმიანობას აწარმოებს სამართლიანად და მიუკერძოებლად, თანამშრომლები იცავენ ეთიკის ნორმებს, სამინისტრო არის დემოკრატი-

ული პრინციპების ერთგული, გადწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე, იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია თავის ქმედებებზე, იგი აფასებს პროფესიონალიზმს და პატივისცემით ეპყრობა კერძო ინიციატივას."

გეგმის მიხედვით, 2009-2011 წლებში იუსტიციის სამინისტროს სტრატეგიული მიზანია ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინტერესების სამართლიანად და კომპეტენტურად წარმოდგენა ყველა ინსტანციაში, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება წარმომადგენლობითი ფუნქციის ეფექტიანობის გასაზრდელად, თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება, პრიორიტეტულ სფეროებში საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური და სამართლებრივი დაცვისაკენ მიმართული ზომების განხორციელება და აღსრულება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმირება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმის დაწესება, ანტიკორუფციული ზომების განხორციელება, ეროვნულ კანონმდებლობაში კოლიზიების შემცირება, კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გაუმჯობესება, კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ოფიციალური ვერსიების ხელმისაწვდომობის გაფართოვება-გაზრდა, გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა.

იუსტიციის სამინისტროს

სამომავლო გეგმაში აქცენტი გაკეთებულია სამინისტროს გამჭვირვალედ მუშაობაზე, ერთ-ერთ ქვეპუნქტში კი აღნიშნულია: "დამყარდება თანამშრომლობითი ურთიერთობები იუსტიციის სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას შორის. იუსტიციის სამინისტრო აღიარებს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის მნიშვნელოვან როლს საქმიანობის მონიტორინგში, მოქალაქეთა პრობლემების კომუნიკაციასა და რეფორმების გაშუქებაში. დაგეგმილი კომუნიკაციების სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც სტრატეგიული გეგმის პარალელურად შემუშავდება, იუსტიციის სამინისტრო ჩამოაყალიბებს ძლიერ და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოებასა და მედია-საშუალებებთან."

გეგმაში სამინისტროს სამომავლო მიზნების პარალელურად დასახელებულია ის საფრთხეებიც, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურას მუშაობაში. ესენია: "ცვალებადი პოლიტიკური გარემო: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოში შიდა და გარე ასპარეზზე დიდი პოლიტიკური რყევები გამოიარა. თუ საქართველო ვერ მოახერხებს სტაბილურობის შენარჩუნებას, ეს საფრთხის წინაშე დააყენებს დემოკრატიულ პრინციპებს.

გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური სიძნელეები: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ყველა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სირთულეების წინაშე აყენებს, თუმცა, ეს განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ ქვეყნების წინაშე, რომლებიც განვითარების გადამავალ ეტაპზე იმყოფებიან. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა გამოიწვიოს ეკო-

ნომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც პრობლემას კიდევ უფრო გამწვავებს.

არასტაბილური სოციალური პირობები: 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ინტერვენციის შედეგად ქვეყანას ჰყავს დიდი რაოდენობით დევნილი მოსახლეობა, რაც ზრდის მთავრობის ამოცანებს და ა.შ." - ეს გეგმაში ჩამოთვლილი საფრთხეების ერთი ნაწილია.

სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მისი საქმიანობით დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრიდან კომენტარების და შენიშვნების მიღებას სტრატეგიული გეგმის პროექტთან დაკავშირებით. ამ მიზნით, 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროში გაიმართება დაინტერესებული მხარეთა შეხვედრა, სადაც სამინისტროს თანამშრომლები, მოსამართლეები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები დოკუმენტს საჯაროდ განიხილავენ და სამინისტროს ხელმძღვანელობას გაუზიარებენ საკუთარ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს სტრატეგიული გეგმის პროექტის მიმართ.

სტრატეგიული გეგმის შედგენაში იუსტიციის სამინისტროს ტექნიკურ დახმარებას უწევს UAID - საქართველო: საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირების პროგრამა, განათლების განვითარების აკადემია, მართვის საერთაშორისო სისტემები, საქართველოს შეფასების ასოციაცია.

სტრატეგიული გეგმის პროექტი განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.justice.gov.ge ყველა დაინტერესებული პირს შესაძლებლობა აქვს წერილობითი კომენტარი, შენიშვნა ან წინადადება მიანოდოს იუსტიციის სამინისტროს შემდეგ მისამართზე: strategicplan@justice.gov.ge

საკუთარი ინფორმაცია

სპეციალური მონაცემები პოლიციის მოპარული მანქანების დადგენაში დაეხმარება

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროსა და ესტონეთის სასაზღვრო უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთობლივი ინიციატივით და ესტონური მხარის ფინანსური მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კავკასიის რეგიონში მოპარული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლის პრევენციას. აღნიშნული პროექტი დაიწყო 2008 წლის აპრილში და, საბოლოოდ, დასრულდება 2009 წლის შემოდგომაზე.

პროექტი შედგება ორი ეტაპისაგან და მისი საერთო ღირებულება შეადგენს 65 000 დოლარს. პროექტი ითვალისწინებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მომზადებას, ასევე შესაბამისი დეპარტამენტებისთვის ტექნიკური დახმარების გამოყოფას. ამაში იგულისხმება თანამედროვე სპეციალური მონაცემები, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს დაეხმარება მოპარული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დადგენა-ამოცნობაში. **მედიაინუსი**

ახალი გარემოებები კობა კობალაძის საქმეში

თავდაცვის ყოფილი მალაჩინოსანი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი კობა კობალაძე უკვე 35-ე დღეა შიმშილობს. როგორც კობალაძის ადვოკატი ემზარ პაქსაძე აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი სუსტადაა, თუმცა გადადგილება ჯერ კიდევ შეუძლია.

"კობა კობალაძეს ისეთი საბრძოლო მომზადება აქვს გავლილი, რომ გადაადგილება შიმშილობის 35-ე დღესაც კი შეუძლია. თუმცა, ის ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება", - აცხადებს ადვოკატი.

კობა კობალაძე მუხრანის ამბოხში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს. ის თავს დამნაშავედ არ ცნობს და შიმშილობის შეწყვეტას მის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის შეჩერებამდე და გათავისუფლებამდე არ აპირებს. თავდაცვის ყოფილი მალაჩინოსნის ადვოკატის განმარტებით, კობა კობალაძის საქმეში ახალი გარემოებები გამოიკვეთა.

"საქმეში გაჩნდა სამი ახალი გარემოება, მათ შორის ჩვენ მოვიპოვეთ ცნობა, რომლის მიხედვითაც, ღვალიძის ჩვენებას, რომელსაც გამოიძიებდა ეყრდნობა, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო, არ შეიძლება გამოიძიება ენდოს. კერძოდ, ღვალიძე, როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე წლის წინ ავარიში მოყვა, რის შემდეგაც ის დაახლოებით 40 დღის განმავლობაში კომაში იმყოფებოდა. მას მეორე ჯგუფის ინვალისობა დაუდგინდა. გარდა ამისა, ღვალიძის ჩვენებაში დასახელებულ დროს, მობოლურის გადამცემის სიხშირით დადასტურდა, რომ კობალაძე ქუთაისში იმყოფებოდა და, შესაბამისად, ვერაფერი მოახერხებდა შეხვედროდა ღვალიძეს მცხეთაში, რესტორან "არაგვის". ამასთან, გვაქვს "არაგვის" თანამშრომლების ჩვენება, რომლებიც ადასტურებენ, რომ კობალაძე რესტორანში არ უნახავთ," - აცხადებს ადვოკატი ემზარ პაქსაძე.

საქმეში ახალი გარემოებების გამოკვეთის გამო მან თბილისის საქალაქო სასამართლოში შესაბამის განცხადება შეიტანა. სასამართლომ განცხადების დასაშვებობის საკითხი 24 საათის განმავლობაში უნდა განიხილოს და თუ დასაშვებად ცნო, შემდეგი 24 საათის განმავლობაში პროცესი გაიმართება. **ჯი-ეი-ენი**

სამშენებლო კომპანია "საბა+"-ის მშენებარე ობიექტი დაყადაღებულია

შპს "საბა+"-ის გახმაურებულ პროექტს, რომელიც ცნობილია, როგორც პირველი ელიტარული სახლი სანჯონაში, სასამართლო გადაწყვეტილებით, ყადაღა დაელო. "საბა+"-ის წინააღმდეგ სარჩელი ერთ-ერთმა მენაშენემ შეიტანა.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ობიექტზე მშენებლობა უკვე რამდენიმე თვეა გაჩერებულია. მოქალაქემ, რომელსაც სრულად აქვს დაფარული ბინის ღირებულება "საბა+"-სგან ბინის მშენებლობის დაგვიანების გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმების გადახდა მოითხოვა, თუმცა კომპანიაში აცხადებენ, რომ უსახსრობის მიზეზით, ჯარიმებს ვერ გადაიხდიან.

ამჟამად დამკვეთსა და სამშენებლო კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი ჯარიმების ამოღების თაობაზე სასამართლო პროცედურები მიმდინარეობს. დაზარალებული მოქალაქის ინტერესებს საერთაშორისო იურიდიული კომპანია BDO Legal დაიცავს. შპს "საბა+"-ის მიერ ჯარიმებისა და ზიანის ანაზღაურების სრულ გადახდამდე სამშენებლო მინის ნაკვეთი დაყადაღებული დარჩება.

"მოლაპარაკებისას სამშენებლო კომპანია აგვისტოს ომის შედეგად გამოწვეული მძიმე მდგომარეობით აპელირებდა. ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობა სექტემბერში უნდა დასრულებულიყო, თუმცა დღემდე 15-დან მხოლოდ 10 სართულია აშენებული. კომპანიას რომ თავი სივალდებულებაში ვერაოვნად შეესაბამებინა, ნესით აგვისტოსთვის ძირითადი სამუშაოები დასრულებული უნდა ყოფილიყო და ომი წერილობით კომპეტორის სამუშაოების შესრულებას ხელს ვერ შეუშლიდა. აგვისტოს მოვლენები და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არაფერ შუაშია, უბრალოდ ხშირ შემთხვევაში, სამშენებლო კომპანიების მხრიდან მენაშენეთა მიერ შეტანილი თანხების უპასუხისმგებლოდ გახარჯვა და არასწორი მენეჯმენტი ვალდებულებების შესრულებაში სერიოზულ პრობლემებს იწვევს", - აცხადებს BDO Legal-ის ადვოკატი დავით ვალაშვილი.

იურიდიული კომპანია BDO Legal-ში ვარაუდობენ, რომ ახლო მომავალში მენაშენეთა მიერ სამშენებლო კომპანიების წინააღმდეგ სარჩელების აღძვრის პროცესი კიდევ უფრო მასიურ ხასიათს მიიღებს. **ჯი-ეი-ენი**

კონსულტაციები მიწის ნაკვეთების დაკანონებასთან დაკავშირებით

13 ივნისს, 10.00 სთ-დან 16:00 სთ-მდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის ნაკვეთების დაკანონებასთან დაკავშირებით მოქალაქეებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას.

სააგენტოს კვალიფიციური იურისტები მოქალაქეებს უფასო იურიდიულ კონსულტაციას გაუწევენ, განუმარტავენ მათ, თუ რა დოკუმენტაციაა საარეგისტრაციოდ წარმოსადგენი და რა პროცედურების გავლა დასჭირდება უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების მოსაპოვებლად. **საკუთარი ინფორმაცია**

სეპარატისტების ულტიმატუმი უცვლელია

გალის რაიონის სოფელ დიხაზურგადან გატაცებულ ხარჩილაკების ოჯახის წევრებს მხოლოდ ოჯახის უფროსის ჩაბარების შემთხვევაში გაათავისუფლებენ - სეპარატისტების ეს ულტიმატუმი კვლავ უცვლელია.

როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსი პაატა შამუგია აცხადებს, მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ, არანაირ თანხაზე საუბარი არ მიმდინარეობს.

"თანხასთან დაკავშირებით ხარჩილაკების ოჯახის ახლობლებს არავინ დაკავშირებია, გამტაცებლები ოჯახის უფროსის სოსო ხარჩილაკის ჩაბარებას კვლავინდებურად დაჟინებით მოითხოვენ," - აცხადებს პაატა შამუგია.

გავრცელებული ინფორმაციით, გატაცებულები სეპარატისტებს ოჩამჩირეში ჰყავთ გადაყვანილი.

გატაცება 8 ივნისს, გვიან ღამით მოხდა. აფხაზური სპეცრაზმის წევრებმა, რომლებიც ხარჩილაკების ოჯახს დაესხნენ თავს, სამი მცირეწლოვანი ბავშვი, მათი დედა, ბებია და ინვალდი ბიძა გაიტაცეს. **პირველი**

ქერდობაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

ქერდობაში ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. თბილისის საქალაქო სასამართლო გრიგოლ ს.-ს მიმართ წინასწარი აღკვეთის ღონისძიების საკითხს განიხილავდა, თუმცა ოუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის გვანცა გუგუშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებული წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლდა.

ბრალდების მხარე, აღკვეთი ღონისძიების სახით, ორთვიანი პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. საზოგადოებრივად ადვოკატმა შეძლო დემტკიცებინა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ არ არსებობდა სათანადო მტკიცებულებები და მას წინასწარი პატიმრობა არ უნდა შეფარდებოდა.

ოუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ქართლის ბიუროს ადვოკატის იოსებ გაბიევის შუამდგომლობით, განსაჯელს სასჯელი შეუმსუბუქდა.

მიხეილ ლ.-ს ბრალი ედებოდა ყაჩაღობის მომზადებაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარებასა და ცივი იარაღის ტარებაში.

ბრალდების მხარის მოთხოვნის საფუძველზე, განსაჯელს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

საზოგადოებრივი ადვოკატის ძალისხმევით, მიხეილ ლ.-ს სასამართლომ ყაჩაღობის ბრალდება სრულად მოუხსნა და დამნაშავედ ცნო მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარებასა და ცივი იარაღის ტარებაში. საბოლოოდ მას 18 წლის ნაცვლად, 6 წლითა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. **ჯი-ეი-ენი**

რუსეთი ბერეზოვსკის "ავტოვაზიდან" 143 მილიონი რუბლის მითვისებაში ადანაშაულებს

პროკურატურამ რუსი ბიზნესმენის ბორის ბერეზოვსკის მიმართ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. ბიზნესმენს ბრალად ედება კომპანია "ავტოვაზიდან" 143 მილიონი რუბლის მითვისება.

აღნიშნულის შესახებ ოფიციალური განცხადება სახელმწიფოს მიერ ბერეზოვსკისთვის დანიშნულმა ადვოკატმა ვალერი დორონინმა გააკეთა. ადვოკატის ინფორმაციით, სომარსკის მხარის ხელისუფლებამ ბიზნესმენის წინააღმდეგ შეადგინა სამოქალაქო ოქმი, რომლის მიხედვითაც, ბერეზოვსკის ზარალის ასანაზღაურებლად 58 მილიონი რუბლის გადახდა დაეკისრა.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების ინფორმაციით, 1994 წელს კომპანია "ლოგოვას", რომლის ხელმძღვანელობაშიც შედიოდა ბერეზოვსკი და "ავტოვაზს" შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, 20 ათასი "ფიგურის" მარკის მანქანა უნდა წარმოებულყო, თუმცა პროდუქციის ნაწილის ხარჯი არ იყო ანაზღაურებული, რაც 143 მილიონ რუბლს შეადგენს. გამოძიების ვარაუდით, ბიზნესმენმა უკანონოდ მოპოვებული თანხები "ორტ"-ს, "მოსკოვის დამოუკიდებელი სამაუწყებლო კორპორაციის", "ავანიოკის" და სხვა უძრავი ქონების აქციებში დააბანდა.

ამჟამად ბორის ბერეზოვსკი ლონდონში ცხოვრობს და რუსეთის მხარის არაერთ მოთხოვნაზე მისი ექსტრადიქციის შესახებ, ბრიტანეთის ხელისუფლებამ უარი განაცხადა. ადვოკატ დორონინის განცხადებით, სასამართლო განხილვა 22 ივნისს განახლდება და სწორედ ამის შემდეგ დაინიშნება განაჩენის გამოტანის თარიღი. **მედიანიუსი**

ნარკობარონების მეფე დაკავებულია

კოლუმბიის პოლიციამ დიდი ხნის ძებნის შემდეგ, ცნობილი ნარკობარონი დააკავა, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკოტიკის რეკორდული მაჩვენებლის - 100 ტონა კოკაინის გადატანა შეძლო. ნარკობარონების მეფე - ასე უწოდებენ ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნარკობარონს დენიელ რენდონს, რომელიც დონ მარიოს სახელით არის ცნობილი. კოლუმბიის ხელისუფლება მზად იყო 2 მილიონი დოლარით დაესაჩუქრებინა ის, ვინც დონ მარიოს შესახებ პოლიციას ინფორმაციას მიაწვდიდა.

გავლენიანი კრიმინალი დენიელ რენდონი სამართალდამცველებმა ფართომასშტაბიანი პოლიციური რეიდისას დააკავეს. უახლოეს პერიოდში მოხდება მისი ექსტრადირება ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ნარკობარონი სასამართლოს წინაშე დიდი პარტია კოკაინის გადაზიდვის ბრალდებით წარსდგება. პოლიციის ინფორმაციით, დენიელ რენდონი არა მხოლოდ ნარკოტიკით, იარაღითაც ვაჭრობდა. მისი [საქმიანი პარტნიორი] ერთ-ერთი ცნობილი დაჯგუფება იყო, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წელს შევიდა ტერორისტულ დაჯგუფებათა სიაში. ნარკომავთის ოლიგოპოლიტიკის დენიელ რენდონს კოლუმბიის ხელისუფლებამ მსოფლიოში ყველაზე საშიშ ნარკომოვაჭრეს უწოდებდა. დენიელ რენდონმა ჩამოაყალიბა ნამდვილი კრიმინალური არმია. მან თავის ფრთებქვეშ 1500 განგსტერი გააერთიანა. მისი დავალებების შემსრულებლები, ძირითადად, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. გავლენიანმა ნარკობარონმა საკუთარ დაჯგუფებას სახელწოდებაც კი უბოძა - კოლუმბიის თავდაცვის დანაყოფი. რაც მთავარია, ამ დაჯგუფების წევრებს საკუთარი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებაც ჰქონდათ დაგეგმილი, - აცხადებენ კოლუმბიელი პოლიციელები.

როგორც გაირკვა, დენიელ რენდონი თავისი ბანდის წევრებს თითო მოკლული პოლიციელისთვის ათასობით დოლარს უხდიდა. პოლიციის ინფორმაციით, დენიელ რენდონის კრიმინალური არმიის დისლოკაციის ადგილი, პანამის საზღვართან ახლოს მდებარე ბანანის პლანტაციები იყო. სწორედ აქედან გადიოდა ქვეყნის ფარგლებს



გავლენიანი კრიმინალი სამართალდამცველებმა ფართომასშტაბიანი რეიდისას დააკავეს.

თადად, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. გავლენიანმა ნარკობარონმა საკუთარ დაჯგუფებას სახელწოდებაც კი უბოძა - კოლუმბიის თავდაცვის დანაყოფი. რაც მთავარია, ამ დაჯგუფების წევრებს საკუთარი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებაც ჰქონდათ დაგეგმილი, - აცხადებენ კოლუმბიელი პოლიციელები. როგორც გაირკვა, დენიელ რენდონი თავისი ბანდის წევრებს თითო მოკლული პოლიციელისთვის ათასობით დოლარს უხდიდა. პოლიციის ინფორმაციით, დენიელ რენდონის კრიმინალური არმიის დისლოკაციის ადგილი, პანამის საზღვართან ახლოს მდებარე ბანანის პლანტაციები იყო. სწორედ აქედან გადიოდა ქვეყნის ფარგლებს

გარეთ 100 ტონა კოკაინი. პოლიციის ინფორმაციით, დენიელ რენდონი მექსიკური ნარკოკარტელის ლიდერების რიცხვშიც შედიოდა. ნარკობარონებს შორის გავლენის გადანაწილებას კი რენდონთან დაპირისპირება მოჰყვა. დონ მარიოს სახელით ცნობილი კრიმინალის ბანდის წევრებს ნელინადახევეარის განმავლობაში 3 ათასი მკვლელობა უკავშირდება. სისასტიკით გამოჩეული მკვლევლობების რიცხვში მოხვდა 14 გავლენიანი ნარკობარონის მკვლელობაც. მას შემდეგ, რაც პოლიციამ დენიელ რენდონისა და მისი არმიის წინააღმდეგ ოპერაციების ჩატარება დაიწყო, მან საპასუხო სვლების განხორციელება გადაწყვიტა. ნარკობარონი მოკლული პოლიციელის თავის სანაცვ-

ლოდ თავისი არმიის წევრებს სოლიდურ თანხებს ჰპირდებოდა, - ასეთია პოლიციის ინფორმაცია.

რენდონის ჯუნგლებში დაკავებას წინ უძღოდა მისი კრიმინალური არმიის 18 წევრის დაპატიმრება. დაკავებულებს შორის იყვნენ მაფიოზები, რომლებიც ნარკობარონის დიდი ნდობით სარგებლობდნენ.

დენიელ რენდონის დაკავება სამართალდამცველების ხანგრძლივი და მძიმე შრომის შედეგია. ბოსების ბოსი დაკავებულია და ამით, ნარკოკონტრაბანდა მნიშვნელოვნად შემცირდება. კოლუმბია ყოველდღიურად თავისუფლდება საშობა დამნაშავეებისგან, - აცხადებს კოლუმბიის პრეზიდენტი.

სამუდამო პატიმრობა მეორედ

სერიულ მკვლელს, რომელსაც ერთხელ უკვე ჰქონდა მისჯილი სამუდამო პატიმრობა, იგივე სასჯელი სასამართლომ მეორედ მიუსაჯა. საქმე ისაა, რომ იგორ შუკოვმა, რომელიც უკვე კარგა ხანია სასჯელს იხდის, 11 წლის წინ ჩადენილი კიდევ ერთი მკვლელობა აღიარა.

სამუდამო პატიმრობა იგორ შუკოვს კრასნოდარის ოლქის სასამართლომ პირველად 2001 წელს მიუსაჯა. ის მაშინ დამნაშავედ ცნეს 11 ადამიანის მკვლელობაში. გარდა ამ მძიმე ბრალდებისა, ის ბანდიტიზმის მუხლითაც გაასამართლეს. განაჩენის გამოტანიდან 8 წლის შემდეგ, მსჯავრდებულმა ერთ-ერთი გაუხსნელი მკვლელობის ავტორად საკუთარი თავი დაასახელა.

როგორც კრასნოდარის მხარის პროკურატურის ხელმძღვანელი ანდრეი სტეპანიანი აცხადებს, იგორ შუკოვმა ციხეში აღიარა, რომ ტაქსის მძღოლი იგორ კორბანოვი გამოსასვლელ სივრცეზე.

კორბანოვის მკვლელობა 1998 წელს მოხდა. მას შემდეგ ეს საქმე გაუხსნელია. მან ტაქსის მძღოლი გაძარცვის



მიზნით მოკლა და 400 მანეთი გაიტაცა. მხოლოდ ახლა გაირკვა, რომ კორბანოვი იგორ შუკოვის პირველი მსხვერპლი იყო. სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ ჩამოაყალიბა შუკოვმა სამკაცინი ბანდა. ბანდის წევრებთან ერთად, ის თავს ესხმოდა ავტომანქანების მფლობელებს და აყაჩაღებდა. სხვა ნივთებთან ერთად, თავდამსხმელები

მსხვერპლს ავტომანქანასაც ართმევდნენ, შლიდნენ მას და ნაწილებს სხვა ნივთების მსგავსად ყიდდნენ, - აცხადებს პროკურორი. მისივე განმარტებით, იგორ შუკოვის მეთაურობით, ბანდის წევრები არა მხოლოდ ძვირადღირებული ავტომანქანების მფლობელებს ესხმოდნენ თავს, არამედ, მათი მსხვერპლი აღმოჩნდა ძველი, გადასავ-

დები ავტომანქანის არაერთი მფლობელიც.

როგორც გაირკვა, იგორ შუკოვმა სიცოცხლეს გამოასალმა მთელი ოჯახი. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ვეპრიკოვებისა და მათი მცირეწლოვანი შვილის მკვლელობის მიზეზი ავტომანქანა გახდა, რომლის მფლობელიც იგორ შუკოვმა მანამდე მოკლა, მოკლულის ავტომანქანა კი ვეპრიკოვებს მიჰყავდა. მოგვიანებით, სერიულ მკვლელი მივიდა დასკვნამდე, რომ ვეპრიკოვების ოჯახის უფროსი ეჭვს შეიტანდა მის საქციელში, რომ მას მოპარული ავტომანქანა მიყიდეს. ბანდის მეთაურმა და მისი დაჯგუფების წევრებმა ვეპრიკოვები სწორედ იმიტომ გამოასალმეს სიცოცხლეს, რომ მათ სამართალდამცველებისთვის არ მიემართათ. როგორც გაირკვა, ოჯახის სამივე წევრს იგორ შუკოვმა თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. სამივე მათგანი ადგილზევე გარდაიცვალა.

2001 წელს სასამართლოს წინაშე ბანდის სამივე წევრი წარსდგა. შუკოვის მსგავსად, ბანდის ერთ-ერთ წევრს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, მეორეს კი 20 წლის განმავლობაში მოუწევს ციხის კედლებში ყოფნა.

სისხლის ფლვარვა

სისხლიანი თავდასხმები დაღესტანსა და ინგუშეთში

ხათუნა გაბიძვი

დაღესტნის შინაგან საქმეთა მინისტრის მკვლელობის შემდეგ კიდევ უფრო გართულდა მდგომარეობა როგორც ადგილზე, ასევე მეზობელ ჩრდილო კავკასიურ რესპუბლიკებშიც. კიდევ უფრო გამოიკვეთა "ფრონტის წითელი ხაზი" ძალოვნებსა და ბოვეიკებს შორის დაღესტანსა და ინგუშეთში, აქ ჩეჩნური ფაქტორის ჩათვლით.

ბოვეიკების სერიული თავდასხმები დაღესტანში

დაღესტანში შინაგან საქმეთა მინისტრის მკვლელობის შემდეგ ვითარების ადგილზე გასაცნობად ჩასული მედვედევის ვიზიტს ოთხშაბათს ღამე კარაბუდახენის რაიონსა და კარამახის დასახლებაში მილიციის განყოფილებებზე უცნობი პირების თავდასხმა მოჰყვა. "ინტერფაქსის" ცნობით, ორივე შემთხვევაში სამართალდამცველებმა მომხდურების მოგერიება შეძლეს, თანაც უმსხვერპლოდ. კარაბუდახენის რაიონში მილიციის განყოფილებას შუალამისას, დაახლოებით, ათი ბოვეიკი დაესხა თავს. ჩეჩნურ ვებგვერდ "ჩეჩენარეს.ორგ"-ის ცნობით, მოჯაჰედების ჯგუფი სამართალდამცავი ორგანოს შენობას ტყვიამფრქვევებითა და ავტომატებით თითქმის ერთ საათს განუწყვეტილად ესროდა. გავრცელებული ცნობებით, იმის მიუხედავად, რომ შენობაში მილიციელები საკმაოდ რაოდენობით იმყოფებოდნენ, საჭირო გახდა შეტაკების ადგილზე რუსული "ომონის" დამატებითი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მობილიზაცია.

"მილიციის რაიონული განყოფილების თანამშრომლების კარგად ორგანიზებული ქმედების წყალობით, ბოვეიკებმა ვერ შეძლეს შენობაში შეჭრა, მაგრამ თითქმის ერთსაათიანი მასირებული ცეცხლის შედეგად სერიოზულად დაზიანდა შენობა, ჩაიშხვრა მინები და წყობიდან გამოვიდა განყოფილების ტერიტორიაზე განთავსებული ტექნიკის დიდი ნაწილი," - აღნიშნა "ინტერფაქსთან" საუბარში ადგილობრივმა წყარომ.

კარაბუდახენის პარალელურად, თავდასხმა სცადეს კარამახის დასახლებაში განთავსებულ მილიციის განყოფილებაზეც. შეიარაღებულმა პირებმა შენობას ტყის მასივიდან გაუხსნეს ცეცხლი, მაგრამ მილიციელებმა იერიში საკუთარი ძალებით მოიგერიეს.

ჩრდილოეთ კავკასიაში საჯარი-

სო ნაწილების გაერთიანებული შტაბის ცნობით, რაიონების ბოვეიკებისაგან გასანმენდად შეიარაღებული დაპირისპირების არელებისკენ მილიციის დამატებითი ძალები სპეცტექნიკის თანხლებით არიან გადასროლილნი.

თუმცა, სამართალდამცველების წინააღმდეგ მოჯაჰედების ქმედებები მხოლოდ ორი ზემოაღნიშნული შემთხვევით არ ამონურულა. ოთხშაბათს ღამე უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს მილიციას ყიზლარის რაიონშიც, რასაც სამართალდამცველთა მხრიდან მსხვერპლიც მოჰყვა. კარლ მარქსის სახელობის საბჭოთა მეურნეობის საგუშაგოზე მილიციელებმა საბუთების შემონმების მიზნით ავტომობილის გაჩერება სცადეს, რადროსაც მანქანიდან უცნობმა პირებმა ცეცხლი გახსნეს. დამნაშავეების დასაჭერად რაიონში ამოქმედდა გეგმა "ვულკანი-5". სამშაბათს მახაჩყალას შემოგარენში "ომონის" წევრი მოკლეს. იმავე დღეს უცნობმა პირებმა დაცხრილეს ავტომობილი, სადაც მილიციელები ისხდნენ. მათაგან ორი ადგილზე გარდაიცვალა და ერთი დაიჭრა.

მალაჩინოსნის მკვლელობა ინგუშეთში

დაღესტანში ვითარების დაძაბვის პარალელურად, მწვავე სიტუაცია ინგუშეთშიც, სადაც ოთხშაბათს უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მოკლეს. აზა გაზგერეევას მანქანა ნაზრანის ცენტრში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცხრილეს. "იტარ-რასის" ცნობით, მოსამართლე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. თავდასხმა მოსკოვის დროით 08:40 საათზე გაიერბეკ-ხაჯის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის სიახლოვეს მოხდა, სადაც "ინტერფაქსის" ცნობით, გაზგერეევამ ბავშვები მიიყვანა. თუმცა, ინგუშეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მისილ ზადგორნოვის თქმით, გაზგერეევას სამი მოზრდილი შვილი ჰყავს და უბედური შემთხვევა მამინ მოხდა, როცა მოსამართლე სამსახურისკენ მიდიოდა. ამ ინციდენტისას ხუთი პირი დაიჭრა, მათ შორის სამი გაზგერეევასთან ერთად იჯდა "გაზელის" ტიპის ავტომობილში. თვითმხილველთა თქმით, დამნაშავეები მკვლელობის ადგილიდან "გაზ-2106" მარკის ნაცრისფერი ავტომობილით მიიმალნენ.

გაზგერეევას მკვლელობის ძირითადი ვერსია მის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

"აზა გაზგერეევა გამოვლელი



მოსამართლე იყო, მუშაობის 25-წლიანი სტაჟით. იგი ჩემი მარჯვენა ხელი იყო კოორდინატორის ბრძოლაში. გარდა ამისა, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების კოლეგიის წევრიც გახლდათ. მართალია, იგი უშუალოდ არ მუშაობდა უკანონო შეიარაღებული ბანდოზირების სისხლის სამართლის საქმეებზე, მაგრამ განიხილავდა მათთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივრებს," - განაცხადა მისილ ზადგორნოვმა.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის განყოფილებაში, რომელიც ინგუშეთს მოიცავს, მკვლელობის ფაქტზე საქმე აღძრულია სისხლის სამართლის 295-ე (სამართლის განმარტებული პირის სიცოცხლის ხელყოფა) და 222-ე მუხლებით (იარაღის უკანონო ბრუნვა).

გარდა ამისა, ვებგვერდ "ინგუშეთი.ორგ"-ის ინფორმაციით, 9 ივნისს, ადგილობრივი დროით 10:00 საათზე, ავტომობილში "კავკაზზე" სოფელ გამურზიევისთან უცნობმა პირებმა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს რუსი გამნაღმელების კოლონას, რის შედეგადაც დაიჭრა ერთი რუსი ჯარისკაცი. მუჟიჩის დასახლებაში შეიარაღებული შეტაკება მოხდა - დაიღუპა უშიშროების ფედერალური სამსახურის ერთი თანამშრომელი, ხოლო ოთხი მოჯაჰედი შაჰიდად იქცა.

იჩქერიის პრეზიდენტის ხედი

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ ორშაბათს გავრცე-

ლებული ინფორმაციით, მოკლული კავკასიელი ბოვეიკების ლიდერი და იჩქერიის პრეზიდენტი დოკუ უმაროვიც, რასაც ჩეჩნური წყაროები არ ადასტურებენ. საარტილერიო ცეცხლი რუსმა ძალოვნებმა ინგუშეთში აღმოჩენილ ექსტრემისტთა ბანაკს გაუხსნეს, სადაც, მათი ინფორმაციით, დოკუ უმაროვიც უნდა ყოფილიყო. სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ ბანაკში მხოლოდ დანაწევრებული გვამები დარჩა, რომელთა ამოცნობა დემ-ს ექსპერტიზის გარეშე უკვე შეუძლებელია. გაზეთ "კომერსანტის" მტკიცებით, იჩქერიის პრეზიდენტის ახლო ნათესავებს უკვე აუღეს სისხლი ანალიზისთვის. ოფიციალური დადასტურება იმისა, ბანაკში 12 ივნისს ლიკვიდირებული ნამდვილად უმაროვია თუ არა, რუსეთში დღეს უნდა გახდეს ცნობილი.

რუსული მხარის მტკიცებას ჩეჩენი მოჯაჰედები რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შემოგდებულ "სატყუარას" უწოდებენ. იჩქერიის პრეზიდენტის მომხრეების თქმით, უმაროვი დაჭრილიც კი არ არის და იატაკქვეშეთის ხელმძღვანელობას განაგრძობს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა დოკუ უმაროვი წარსულშიც რამდენჯერმე "მოკლეს", მაგრამ ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა. მაგალითად, 2005 წლის იანვარში რუსეთის სპეცსამსახურები იფწყებოდნენ, რომ "ტერორისტი" ფედერალურ სპეცრაზმთან შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა, ხოლო თვის ბოლოს გავრცელდა ცნობები მისი მდგომარეობის მკვეთრად გაუარე-

სებისა და დაღუპვის შესახებ; მოგვიანებით კი გაიკვია, რომ ბოვეიკების ლიდერი ცოცხალი იყო.

ინგუშეთში დოკუ უმაროვის წინააღმდეგ მასშტაბური ოპერაცია ჩეჩნეთში შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან თვითმკვლელი ტერორისტის მოქმედების შემდეგ დაიწყო. ტერაქტის ორგანიზებაში სწორედ იჩქერიის პრეზიდენტი იყო ეჭვმიტანილი. 21 მაისს ინგუშეთში, სუნჟენის რაიონში უმაროვის საბანკის ბანაკი აღმოაჩინეს, სადაც, დაახლოებით, 60 პირი იმყოფებოდა. ბოვეიკები ბანაკთან ძალოვნების მიახლოების შემდეგ სამ ჯგუფად გაიყვნენ და ტყისთვის თავის შეფარება სცადეს. სპეცოპერაციის მონაწილეებმა მათთან ორმხრივი სროლის დაწყებას საარტილერიო იერიში ამჯობინეს. მასირებული ცეცხლის შემდეგ ძალოვნებმა ბანაკი დაათვალიერეს.

"ცხედრების ფრაგმენტების წონა კილოგრამაზე მეტად არ აღემატება, შეუძლებელი გახდა ხელის მტევნების პოვნაც კი, რაც გადავიღებდა გვამების იდენტიფიკაციას," - განუცხადა "კომერსანტს" ერთ-ერთმა ძალოვანმა, რომელმაც სისხლიანი ანგარიშსწორების ადგილი დაათვალიერა.

ფრაგმენტები დაინომრა და რეფრიჟერატორით თავდაცვის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრში გადაიგზავნა. რამდენიმე დღეში ცენტრში კიდევ რამდენიმე ცხედარი გადაასვენეს, რომელთაგან ოთხი რუსულმა მხარემ დოკუ უმაროვის მცველებად გამოაცხადა. "ჩეჩენარეს.ორგ"-ის თანახმად, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ და რამზან კადიროვის პირად ქილერ ადამ დელიმხანოვის თქმით, ეს ხალხი მაშინ დაიღუპა, როცა დაჭრილი ბოვეიკის - სავარაუდოდ, უმაროვის - ევაკუაციის ცდილობდნენ. არაოფიციალური ცნობებით, შეტაკების ადგილიდან იჩქერიის პრეზიდენტის გაყვანა "უაზიკის" ტიპის ავტომანქანით მოხერხდა, მაგრამ ავტომობილმა შორს წასვლა ვერ მოახერხა, რადგან იგი მგზავრებთან ერთად გაანადგურეს.

გამოძიების ინფორმაციით, გვამების ნაწილი უკვე ამოცნობილია, მაგრამ ჯერჯერობით მათ შორის დოკუ უმაროვის ცხედარი არ არის ნაპოვნი. ამ შემთხვევაში რუსული მხარის ხელმძღვანელი ის ფაქტია, რომ უმაროვი აღარც რადიოეთერში გამოვლიდა და არც მისი ვიდეომართვები იტვირთება ბოვეიკთა ვებგვერდებზე. ცხადია, იჩქერიის პრეზიდენტის დუმილი მისი მძიმე ჭრილობებით ან მიმალვის მცდელობითაც შეიძლება აიხსნას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია პანდემიის გამოსხადებას აპირებს

მარიკა იაშვილი

A/H1N1 ვირუსით დაავადებულთა რაოდენობის მკვეთრ ზრდას შესაძლოა პანდემიის ოფიციალურად გამოცხადება მოყვეს. ამის შესახებ განცხადებას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში აკეთებენ.

თუ ორგანიზაცია ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, ეს იქნება XXI საუკუნის პირველი მსგავსი მასშტაბების ეპიდემია და პირველი პანდემია ბოლო 40 წლის განმავლობაში.

ავსტრალიაში A/H1N1 ვირუსით 1200-ზე მეტი ადამიანი დაავადდა. ერთი კვირის განმავლობაში დაავადებულთა რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა. ეს არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩრდილოეთ ამერიკის ფარგლებს მიღმა. სულ ერთი თვის წინათ მწვანე კონტინენტზე ლორის გრიპით დაავადებულთა მცირე რაოდენობა იყო რეგისტრირებული. აპრილის ბოლოს ვირუსის მხოლოდ 19 შემთხვევა დასტურდებოდა.

ყველაზე მეტი დაავადებული სამხრეთ-აღმოსავლეთით შტატ

ვიქტორიაში და მის დედაქალაქ მელბურნშია დარეგისტრირებული - სულ, დაახლოებით, ათასი შემთხვევა. მათი უმეტესობა მძიმე არ არის. ლეტალური შედეგი დღემდე არ დაფიქსირებულა, თუმცა სამედიცინო მალაჩინოსანთა აზრით, ეს გარდაუვალია.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ მსოფლიო პანდემიის ზღვარზეა. ამჟამად ოფიციალურად პანდემიის საფრთხის მეხუთე დონეა გამოცხადებული. მეექვსე, მაქსიმალური დონე ძალაში იმ

შემთხვევაში შედის, თუ ეპიდემია ერთი რეგიონის ფარგლებს სცილდება და სხვა რეგიონშიც ფართოდ ვრცელდება. პირველი რეგიონი ამ შემთხვევაში ჩრდილოეთ ამერიკაა, სადაც ვირუსის კერა წარმოიშვა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ დაავადების 25 ათასზე მეტი შემთხვევა დაადასტურა. A/H1N1 ვირუსით დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა აშშ-ში, მექსიკაში, კანადასა და ავსტრალიაშია დაფიქსირებული, აქედან 140 შემთხვევა ლეტალური შედეგით დასრულდა.

XX საუკუნეში გრიპის პანდემიის სამი შემთხვევა დაფიქსირდა. "ესპანური გრიპის" პანდემიამ 1918 წელს 40-50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინარა. ის გამორჩეული თვისებებით ხასიათდება და კაცობრიობის ისტორიაში მასობრივი სიკვდილიანობის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ მიზეზად მიიჩნევა.

1957 წელს 2 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლის მიზეზად "აზიური გრიპი" იქცა, ბოლო პანდემიამ - "ჰონკონგის გრიპმა" კი 1968 წელს 1 მილიონი ადამიანი შეინარა.

მანასის ბაზის საკითხი დიად რჩება

ივანე პილაკაძე

წლის დასაწყისში, უფრო ზუსტად თებერვალში, ყირგიზეთმა უარი თქვა ამერიკული სამხედრო ბაზის მასპინძლობაზე და ამერიკელებს "მანასის" აეროპორტის დასაბრუნებლად ექვსი თვე მისცა (მანასის აეროპორტი ამერიკელებს დროებით გადაეცათ ავღანეთის კამპანიის დაწყებისას). ცხადია, ეს რუსეთის ინიციატივით მოხდა. შესაბამისი განცხადება პრეზიდენტმა ყურმანბეკ ბაკიევმა მოსკოვში გააკეთა და რუსეთისგან ამ პერიოდში 2 მილიარდი დოლარის ოდენობის კრედიტი და 150-მილიონიანი ფინანსური დახმარება მიიღო. მარტში ეს ყველაფერი იურიდიულადც გაფორმდა, პარლამენტმა შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო და ბაკიევმა ხელიც მოაწერა განკარგულებას. თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ამერიკელებმაც ჩემოდნების ჩალაგება დაიწყეს. ოფიციალურად ამერიკას და ანტიტერორისტული კოალიციის სხვა ქვეყნებს ვადა აგვისტოს შუა რიცხვებამდე აქვთ. დღეისთვის იქ ისევ იმყოფება 1200 სამხედრო მოსამსახურე, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები და საჰაერო ტანკერები. ერთი შეხედვით, შეერთებულ შტატები იოლად შეეღობა მთავარ დასაყრდენს ცენტრალურ აზიაში. კეთილშობილად განცხადებები, რომ მათთვის აღარ არის აუცილებელი ამ სამხედრო აეროდრომის ექსპლუატაცია. თუმცა აქა-იქ პრესაში გაკრთებულად

ხოლო ცნობა, ძირითადად ამერიკელებისგან მომდინარე, რომ ისინი ამ თემაზე მოლაპარაკებას აგრძელებენ. ყირგიზეთის ხელისუფლება ამ ინფორმაციას ყოველთვის კატეგორიულად უარყოფდა. ბოლო თვეებში ამის შესახებ თითქმის აღარაფერი ისმოდა და უცებ რამდენიმე დღის წინ საქმეში ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი ჩაერია.

ყირგიზეთის პრეზიდენტმა თავისი ავღანელი კოლეგისგან დიპლომატიური არხებით მიიღო წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი სთხოვდა, რომ ორმხრივ შეხვედრაზე, კონფიდენციალურ ვითარებაში განეხილათ მანასის აეროპორტში კოალიციური ძალების ბაზის დატოვების საკითხი. ჰამიდ ყარზაის არგუმენტად ავღანეთში სიტუაციის გაართულება მოჰყავს და მიიჩნევს, რომ ტერორისტების გამარჯვება მთელ რეგიონს შეუქმნის საფრთხეს. შეხვედრა ივნისში ეკატერინბურგში, "შოს"-ის სამიტზე უნდა გაიმართოს.

პრესაში უკვე დაიწყო ექსპერტების მარჩიელობა, თუ რას უნდა ნიშნავდეს ასეთი მიმართვა, თანაც დღეს, როცა გადაწყვეტილება დიდი ხნის მიღებულია. ყველასთვის ცალსახაა ის გარემოება, რომ ყარზაის ასეთი ნინადადება დამოუკიდებლად არ გაუკეთებია და ამის უკან ამერიკელების ხელი ჩანს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამერიკელებისთვის, პრინციპში, საკმაოდ ძნელი უნდა ყოფილიყო ამ ბაზაზე უარის თქმა როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით.



მანასის სამხედრო ბაზა

სით. რეალურად, მანასის ალტერნატივა არ არის გამოკვეთილი. ეს აეროპორტი ამერიკელებს ნამდვილად სჭირდებათ ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში ტვირთის გადასაზიდად, ხალხის გადასაყვანად და მათი საბრძოლო თვითმფრინავების ჰაერში სანავიით გასამართად. გარდა ამისა, რეგიონიდან ნასვლა სხვა ქვეყნებში შეიძლება ამერიკის დამარცხებად აღიქვან. ამ დარგის სპეციალისტები, მათ შორის რუსი პოლიტოლოგებიც მიიჩნევენ, რომ ყარზაის მიმართვა შეიძლება საკითხის გადასინჯვის საფუძველი გახდეს, თან ისე,

რომ ამ პოლიტიკური თამაშების ძირითადმა მონაწილეებმა - ამერიკის, ყირგიზეთისა და თვით რუსეთის ხელმძღვანელებმა სახე შეინარჩუნონ. სტრიქონებს შორის აშკარად ჩანს ვარაუდი, თუმცა პირდაპირ ამას თითქმის არავინ ამბობს, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და რუსეთთანაც შეთანხმებულია. პირდაპირ ამ საკითხის დაყენება უხერხული იქნებოდა ობამასთვისაც, ბაკიევისთვისაც და, მით უმეტეს, მედვედევ-პუტინის დუეტისთვისაც. ვარაუდობენ, რომ ყარზაის არა მარტო ამერიკელებმა სთხოვეს ასეთი ინიციატივით გამოსვლა,

"რუსებმა აღიარეს, რომ შეცდნენ"

მარიკა იახვილი

მოსკოვის შიშის ფონზე, ირანის მხრიდან მომავალი საფრთხის ზრდის გამო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების საკითხში ამერიკისა და რუსეთის თანამშრომლობის პერსპექტივები "რამდენადმე გაუმჯობესდა", - ამის შესახებ აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა ამერიკის სენატის კომიტეტის წინაშე ბიუჯეტის საკითხებზე საუბრისას განაცხადა. პენტაგონის მეთაურის თქმით, არსებულ შესაძლებლობათა შორის, რომლებიც ამჟამად განიხილება, არის ამერიკული რადარის ან მონაცემთა გაცვლის სისტემის რუსეთის ტერიტორიაზე განთავსების საკითხიც.

ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველად გეითსმა რუსეთის პრემიერ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრა დაასახელა, რომელზეც მათ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების საკითხი განიხილეს. როდის ან სად შედგა შეხვედრა, გეითსს არ დაუზუსტებია, თუმცა აღნიშნა, რომ მაშინ პუტინი პრეზიდენტის პოსტს იკავებდა

პენტაგონის პირველი პირის თქმით, პუტინმა "უარყო აზრი იმის შესახებ, რომ ირანი 2020 წლამდე მოახერხებს ისეთი რაკეტის შექმნას, რომელიც შეძლებს დასავლეთ ევროპას და რუსეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს მიაღწიოს."

"ამის შემდეგ მან რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გაკეთებული რაკეტა მაჩვენა. მე მას უსაფრთხოების ახალი სამსახურის შექმნა ვურჩიე," - განაცხადა პენტაგონის მეთაურმა.

"ფაქტია, რომ რუსები დაბრუნდნენ ჩვენთან და აღიარეს ჩვენი სისწორე ირანის მხრიდან მომავალი საფრთხის საკითხში, მათ აღიარეს, რომ შეცდნენ," - აღ-



რობერტ გეითსი

ნიშნა გეითსმა. **"იმედი მაქვს, რომ ამაზე დაყრდნობა შეგვიძლია,"** - დაამატა აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გამოსაზრება მოჰყვება გეითსის განცხადებებს რუსეთის მხრიდან და როგორი იქნება ოფიციალური მოსკოვის პოზიცია. თუმცა ცნობილია, რომ რუსეთს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების ევროპაში განთავსების მიმართ და ამ საკითხს უშუალოდ უკავშირებს ამერიკასთან შეთანხმებას სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირების შესახებ. სწორედ ამ ორი საკითხის ერთმანეთ-

თან დაკავშირება წარმოადგენს რუსულ-ამერიკულ მოლაპარაკებათა ყველაზე რთულ პუნქტს, რომელიც აზრთა სერიოზულ სხვადასხვაობას იწვევს. რუსეთი მიიჩნევს, რომ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები მის უსაფრთხოებას ემუქრება და იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი თავის გეგმებზე უარს არ იტყვის, კალინინგრადში "ისკანდერის" ტიპის სარაკეტო სისტემების განთავსებით იმუქრება. ამგვარად, მის ტერიტორიაზე ამერიკული სისტემების ელემენტების არსებობა რთულად წარმოსადგენი პერსპექტივაა.

ივნისის პირველ რიცხვებში შეხვედრაში სტრატეგიული იარაღის შემცირების რუსულ-ამერიკული შე-

თანხმების შესახებ მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი გაიმართა. ამერიკულმა მხარემ კონსულტაციებს პროდუქტიული უწოდა.

ამჟამად არსებული შეთანხმების მოქმედების ვადა 2009 წლის 5 დეკემბერს იწურება და მხარეები მისი გაგრძელების საკითხს არ განიხილავენ.

2009 წლის 1 აპრილს ლონდონში რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების დმიტრი მედვედევისა და ბარაკ ობამას შეხვედრაზე, ლიდერები ახალი დოკუმენტის გასაფორმებლად მოლაპარაკებების დაწყებაზე შეთანხმდნენ. პრეზიდენტებმა თანხმდნენ ქვეყნების შესაბამის უწყებებს დაავალეს, რომ მუშაობის პირ-

ველი შედეგები ბარაკ ობამას მოსკოვში ვიზიტისთვის უნდა მომზადდეს, რომელიც ივლისის დასაწყისისთვის არის დაგეგმილი.

მოლაპარაკებათა მომდევნო, რიგით მესამე რაუნდი რუსეთსა და აშშ-ს შორის ივლისის მეორე ნახევარში შენევაში გაიმართება.

ობამას ადმინისტრაცია "ძალიან არის დანტერესებული" რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსების საკითხში რუსეთთან თანამშრომლობით, განაცხადა გეითსმა. **"მე ძველებურად მაქვს იმედი, რომ რუსები ირანის წინააღმდეგ მიმართული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შექმნაში ჩვენი პარტნიორები გახდებიან,"** - აღნიშნა მან.

გეითსის თქმით, მას პირადად არაერთხელ უცდია რუსეთის მთავრობის დარწმუნება, რომ ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები რუსეთის სტრატეგიულ ძალებთან დასაპირისპირებლად არ შექმნილა და არ ვრცელდება. **"ჩვენ გამოვედით მთელი რიგი წინადადებებით, თუ როგორ შეიძლება ვიყოთ პარტნიორები. მე ვფიქრობ, რომ ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს, მაგალითად რუსეთში რადარების გამოყენება და მის ტერიტორიაზე მონაცემთა გაცვლის სისტემის განთავსება."**

მინისტრმა აღნიშნა, რომ 2010 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის ჩართული პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მშენებლობა და პრაღაში რადარის გადასროლა. **"ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ 2009 წელს გამოყოფილი თანხიდან ჯერ კიდევ დავრჩა საკმარისი სახსრები ამ მიზნების განსახორციელებლად. მშენებლობის დაწყების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ეს თანხები აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების საშუალებას მოგვცემს,"** - განმარტა გეითსმა.

რევიუ




მელბურნში ჯორჯ ლუკასის კოსმოსური საგის "ვარსკვლავური ომებისადმი" მიძღვნილი ფესტივალი Star Wars: Where Science Meets Imagination გაიმართა. მსგავსი ტიპის ღონისძიება მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სისტემატურად ტარდება. სადაც "ვარსკვლავური ომების" ფანებს საშუალება ეძლევათ საყვარელი კინოპერსონაჟების კოსტუმები მოირგონ და ერთი დღით მაინც იგრძნონ თავი დიდი ხნის წინ შორეულ გაქალაქიაში არსებული პლანეტის ბინადრად.

"ფუტურამა" ბრძელდება

მეტ გროენინგმა და დევიდ კოენმა ახალ სეზონებზე დაიწყეს მუშაობა

წარმოიდგინეთ დედამიწა ათასი წლის შემდეგ: ქალაქები უზარმაზარ ქარხნებს ჰგავს, ავტონანტები ცაში დაფრინავენ, ადამიანებისა და უცხოპლანეტელების გვერდით კი რობოტები ცხოვრობენ. ერთ-ერთ მათგანს ბენდერი ჰქვია. ის მთლიანად მეტალისგანაა გაკეთებული, მუდამ უკმაყოფილოა და სამიწელი ლოთიც. ბენდერი მეორე ათასწლეულიდან მომავალში მოხვედრილი ფილიპ ფრაისის საუკეთესო მეგობარია, თუმცა ხანდახან საკუთარი კეთილდღეობისთვის მის მოსაკლავადაც კი მზადაა. ეს ანიმაციური სერიალი "ფუტურამაა", რომლის ფანებსაც სასიხარულო ამბავს ვაუწყებთ - 2010 წელს სერიალის ახალი სეზონი გამოვა.

როგორც 20th Century Fox TV-ის ოფიციალურ საიტზეა ნათქვამი, სერიალის შემქმნელები მეტ გროენინგი და დევიდ კოენი უკვე შეუდგნენ ორ ახალ სეზონზე მუშაობას. მთლიანობაში სეზონები 26 სერიისგან იქნება შედგენილი, მათი ჩვენება კი ამერიკის გასართობი არხის, Comedy Central-ის ეთერში შედგება. როგორც სერიალის შემქმნელები აცხადებენ, ახალი სეზონების გა-



მოშვების მიზეზად სერიალის უსაზღვრო პოპულარობა და ათასობით მაყურებლის მოთხოვნა იყო. გარდა ამისა "ფუტურამას" სეზონების ჩანაწერების DVD დისკები წარმატებით იყიდებოდა, რაც ნიშნავს,

რომ მაყურებელი ახალ სერიებსაც ეყოლება. ასევე ცნობილია, რომ ახალი სეზონები ფრანჩიზის განახლებული ვერსიები იქნება და არა ნაცნობი სიუჟეტების გარძელება. დღეისთვის ტელეეთერით "ფუ-

ტურამას" ხუთი სეზონი გავიდა, მათი ჩვენება 1999 წლიდან 2003 წლამდე მიმდინარეობდა. ბოლო წლებში კი სერიალის მიხედვით გადაღებული რამდენიმე სრულმეტრაჟიანი ფილმი გამოვიდა, რომლე-

ბიც ასევე სარგებლობდნენ არნახული წარმატებით.

შეგახსენებთ, რომ "ფუტურამას" იგივე კომპანია იღებს, რომელმაც მსოფლიოს საყოველთაოდ ცნობილი "სიმპსონები" აჩუქა, ამიტომ ამ ორი სერიალის გარემო და პერსონაჟებიც ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. "ფუტურამას" პირველი სეზონის პირველ სერიამი მოქმედება 2000 წელს უფრო სწორად ორი ათასწლეულის მიჯნაზე იწყება. მთავარი პერსონაჟი ფილიპ ფრაი პიცის ხელმოცარული დამტარებელია, რომელსაც სურს საკუთარ ცხოვრებაში სიხალლე შეიტანოს. ახალი წლის ღამეს იგი შემთხვევით სამეცნიერო ლაბორატორიაში მიდის, სადაც შემთხვევით კრიოგულ კამერაში აღმოჩნდება და საკუთარ თავს მთელი ათასი წლით გაყინავს. გამოღვიძებული მესამე ათასწლეულის ამერიკაში აღმოჩნდება, თავის შთამომავალს მიაგნებს და მასთან დაიწყებს ცხოვრებას და მუშაობას. სწორედ ამის შემდეგ იწყება ფრაის თავბრუდამხვევი თავგადასავალი - უცნაურ მეგობრებთან ერთად ხან რომელ პლანეტაზე აღმოჩნდება და ხან რომელ გალაქტიკაში.

ფერადი ბუბტაბით მადლა ცაში

"მფრინავი სახლი" თბილისის კინოთეატრებში გამოვიდა

ია ვაჰვა



კანის წლევანდელი საერთაშორისო კინოფესტივალი ალბათ სამუდამოდ დარჩება კინოს ისტორიაში, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და ანგარიშგასაწევი კინოფორუმი პირველად მისი არსებობის განმავლობაში ანიმაციურმა ფილმმა გახსნა. სამგანზომილებიანმა ფილმმა Up, რომლის ქართული თარგმანი როგორც "მფრინავი სახლი" უწოდებენ, მსოფლიო ეკრანებზე გამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ უკვე მოახერხა მოეხსნა ყველა შესაძლო რეკორდი. მის ანგარიშზე მილიონიანი შემოსავლები დაირიცხა, თანაც ჯერ კიდევ წინაა რამდენიმე კვირის განმავლობაში და სხვადასხვა კინოფესტივალი, სადაც კრიტიკოსების აზრით ფილმი აუცილებლად შეძლებს პრიზების მიღებას. "მფრინავი სახლის" შეფასება კი დღეიდან ქართულ მაყურებელსაც შეეძლება - Up თბილისის კინოთეატრებში გამოვიდა.

ფილმს მაყურებელი ქართულ ენაზე ნახავს, თუმცა წინასწარ ნუ შეწუხდებით - "მფრინავი სახლის" პერსონაჟებს ყველასთვის საყვარელი პროფესიონალი მსახიობების გარდა ბოლო დროს გავარსკვლავებული ადამიანიც გაახმოვანებს. ერთ-ერთი მთავარი გმირის ქართულ ტექსტზე თვით გივი ბერიკაშვილმა იზრუნა (ფილმის ორიგინალ ვერსიაში მისტერ კარლ ფრედრიკსენი ჰოლივუდის ოქროს ხანის ვარსკვლავისა და ხუთი "ოქროს გლობუსის" მფლობელი ვარდ ასნერის ხმით მეტყველებს, ხოლო რუსულად მოხუცი მოგზაური არმენ ჯიგარხანიანმა გაახმოვანა). მოუსვენარ და გამუდმებით მოლაპარაკე რასელს ასევე მსახიობი ბიჭუნა ივა გოგიტიძე ახმოვანებს, ხოლო მის ძალიან სასაცილო

ძალს მისტერ "კობორი 2009" თემურ ჯახაია.

"მფრინავი სახლის" სიუჟეტი მარტივი, თუმცა ამავდროულად ძალიან სანახაობრივი და რაღა თქმა უნდა, სასაცილოა: 78 წლის კარლ ფრედრიკსენი ძველ სახლში მარტო ცხოვრობს. მას აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ მოგონებებით იცხოვროს. ყველაზე ხშირად კი ბავშვობის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ახსენდება: ბიჭუნა კარლმა გოგონა ელი გაიცნო, რომელიც მოგვიანებით მისი მეუღლე გახდა. ელი მთელი ცხოვრება სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობაზე ოცნებობდა, თუმცა ვიდრე ამ სურვილის ასრულებას შეძლებდა, უეცრად გარდაიცვალა. კარლმა კი ცხოვრების მიზნად საყვარელი მეუღლის ოცნების განხორციელება დაისახა, სახლს უთვალავი ფერადი ბუბტა შეაბა და ცაში აიჭრა. თუმცა ის მარტო არაა, მასთან ერთად სამოგზაუროდ ბუბტაზე რასელი და ძალიან ალფაც გაემგზავრებიან. ფილმის განმავლობაში მაყურებელი ამ სრულიად განსხვავებული პერსონაჟების ურთიერთობას ადევნებენ თვალს, რომელიც ხანდახან ძალიან სასაცილოა, ზოგჯერ კი სევდიანი. ფილმის ეკრანებზე გამოსვ-

ლისთანავე ცხადია მისი შეფასებაც დაიწყეს. ამ მხრივ "მფრინავი სახლი" მართლაც ყველანაირი რეკორდი მოხსნა, რადგან შეფასებათა 98% ერთმნიშვნელოვნად დადებითია. საინტერესოა ისიც, რომ დღევანდელი მონაცემებით "მფრინავი სახლი" imdb.com-ის საუკეთესო 250-ეულში მე-16 ადგილზეა მარტინ სკორსეზეს "კარგ ბიჭებსა" და ალფრედ ჰიუჩკოკის შედეგ "ხედი ფანჯრიდან" შორის. შარშანდელი საოცრება "უოლი" კი 42-ე ადგილზე გადავიდა.

რატომ იქცა "მფრინავი სახლი" წლის მოვლენად და რატომ მიანიჭეს კანის ფესტივალის გახსნის პატივი? აქ პასუხი მარტივია - ფილმი "უოლტ დისნეი ფიქრებისა" და ანიმაციური სტუდია "პიქსარის" მორიგი ერთობლივი ნამუშევარია. ეს ორი "მიზეზი" კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ფილმი ნახვამდეც კი დადებითად შეფასდეს. ამ ორი კომპანიის პირველი ერთობლივი ნამუშევარი "სათამაშოების ისტორია" ჯერ კიდევ 1995 წელს გამოვიდა. იმ პერიოდში მაყურებელი ჯერ კიდევ არ იყო მზად ასეთი ტექნოლოგიური ნოვაციისთვის, ამიტომ კინოთეატრებში მისული ხალხი ხელს ეკრანისკენ იშ-

ვერდა იმ იმედით, რომ პერსონაჟებს შეეებოდნენ. ამას კი სტუდია "დისნეისთვის" დამახასიათებელი საინტერესო ისტორია და თავბრუდამხვევი თავგადასავლები ერთვოდა. "სათამაშოების ისტორიას" პრაქტიკულად არ ჰქონდა ნაკლები, ტექნიკურად და სანახაობრივად ის ისეთი გამართული იყო, რომ მთელი მსოფლიოს კრიტიკოსები უარყოფითი რეცენზიების წერას ვერ ახერხებდნენ. შედეგად არ დააყოვნა - "სათამაშოების ისტორიამ" შემქმნელებს 362 მილიონი დოლარი მოუტანა და წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმი გახდა. ამის შემდეგ "სათამაშოების ისტორიების" გარდა "პიქსარმა" სრულმეტრაჟიანი კომპიუტერული ანიმაციით შექმნილი ექვსი ფილმი გამოუშვა: "მწერების ცხოვრება", "მონსტრების კორპორაცია" ("ოსკარი" საუკეთესო მუსიკისთვის), "ნემოს ძიებაში" ("ოსკარი" საუკეთესო ანიმაციური ფილმის ნომინაციაში), "სუპეროჯახი" (ორი "ოსკარი" ვიზუალური ეფექტებისთვის), "მანქანები", შარშანდელი "ოსკარის" ფავორიტი "რატატუი" და უკვე ნახსენები "უოლი", რომელმაც ასევე წლის საუკეთესო ანიმაციური ფილმის წოდება დაიმსახურა.



11 ივნისი	
თეატრი	
მარჯანიშვილის თეატრი	
"ურიელ აკოსტა". დასაწყისი: 20.00	
მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)	
"პაემანი სხვენში". დასაწყისი: 20.00	
თავისუფალი თეატრი	
"ჯინების თაობა". დასაწყისი: 19.00	
თეატრალური სარდაფი რუსთაველზე	
"უჩინაჩინის ქუდი". დასაწყისი: 20.00	
კინო	
"ამირანი"	
"ტერმინატორი 4". დასაწყისი: 20.00; 22.15	
"მფრინავი სახლი". დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00 (დიდი დარბაზი);	
"ტერმინატორი 4". დასაწყისი: 12.30; 17.30	
"ანგელოზები და დემონები"	
დასაწყისი: 15.00; 19.45; 22.05 (მცირე დარბაზი)	
"საქართველო"	
"მაგადასკარი 2". დასაწყისი: 13.00; 15.00;	
"თქვი დიას". დასაწყისი: 17.00;	
"ანგელოზები 4". დასაწყისი: 19.00; 21.00;	
გამოფენები	
სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზი	
"დაკარგული სივრცე" -	
კრისტიან ჰამსუეს თავისუფალი ხელოვნების კლასის გამოფენა ("აბრეშუმის გზა - Traject" მეორე ნაწილი);	
ბაია გალერეა	
პროექტი - პროცესი "ცნობილი უცნობი პერსონა". XX საუკუნის ქართული ხელოვნება. ემა ლალევა-ელიბერიძე	
ვერნისაჟი	
სოსო ქუმბიაშვილის პერსონალური გამოფენა (ფერწერა).	
მეიდან არტ ჰოლი	
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია (ფერწერა, ქანდაკება)	
გალერეა "შარდენი"	
თანამედროვე ტიხრული მინანქრის გამოფენა (სამკაული, მინიატურა, ხატი)	
მანანა არტ ჰოლი	
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა	
გალერეა "კამეა"	
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი, ხის ნაკეთობები)	

პინტარის ქვრივი საკუთარ ქორწინებაზე მობვიყვება

ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის - ჰაროლდ პინტარის ქვრივი, მწერალი ანტონია ფრეზერი 2010 წლის იანვარში გამოაქვეყნებს მემუარების წიგნს "ჩემი ცხოვრება ჰაროლდ პინტართან". ამის შესახებ ინფორმაციას გაზეთი The Guardian ავრცელებს. ჰაროლდმა და ანტონიამ ერთად, თითქმის, 30 წელი გაატარეს. მათი ქორწინება ილბლიანი აღმოჩნდა. ამ წყვილის რომანი 1975 წელს დაიწყო და უმალ ტაბლოიდების გვერდებზე მოხვდა. იმ დროისათვის პინტარის მსახიობ ვივიენ მარშანზე იყო დაქორწინებული, ხოლო ანტონია პოლიტიკოს ჰიუ ფრეზერის ცოლი გახლდათ, თანაც ამ ქორწინებიდან მათ უკვე ექვსი შვილი ჰყავდათ. მარშანი ქმარს გაყრამდე დიდხანს არ თანხმდებოდა და ამიტომაც პინტარმა მეორედ დაქორწინება მხოლოდ 1980 წელს შეძლო. ჰაროლდ პინტარმა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 2005 წელს მიიღო. ის 2008 წლის 24 დეკემბერს სიმსივნით გარდაიცვალა. ამ დრამატურგისა და პოეტის მიმართ ინ-

ტერესი არასოდეს განუღებულა და მისი გარდაცვალების შემდეგ კი, შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო გამძაფრდა. მაგალითად, საინფორმაციო საშუალებებმა გაახმაურეს სიახლე იმის შესახებ, რომ ჰაროლდ პინტარის პირადი არქივი ბრიტანეთის ბიბლიოთეკას საკუთრებაში გადაეცა. ის გაერთიანებული სამეფოს უმსხვილესი წიგნთსაცავია. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექციაში ინახება ჰაროლდ პინტარის მიმონერა თანამედროვეობის ისეთ გამოჩენილ წარმომადგენლებთან, მათ შორის, სემუელ ბეკეტთან, ტომ სტოპარდთან, ჯონ ოსბორნთან და ა.შ. კინოსცენარების, მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური ესსეებისა და ლექსების რამდენიმე კრებულის გარდა, ამ არქივში მუდმილსადმი მიწერილი წერილებიც შედის. ანტონია ფრეზერის დაწერილი აქვს რამდენიმე პოპულარული ისტორიული ბიოგრაფია, მათ შორის მარია სტიუარტის, ოლივერ კრომველის, მარია ანტიუანეტას და ა.შ. ამ დროისათვის, The Guardian-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ფრეზერი წიგნს

ელისაბედ პირველზე წერს. შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად, ეს ქალბატონი ძალღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ ჰაროლდ პინტარის სახელი დაიწყებას არ მიეცეს. ამის დასტურია აუქციონი, რომელიც 2009 წლის სექტემბერში გაიმართება. ამ საქველმოქმედო ღონისძიებაზე გაიყიდება სურათი, სადაც ჰაროლდ პინტარი კრიკეტის ჯოხით ხელშია გამოსახული. აღსანიშნავია, რომ აუქციონიდან შემოსული თანხა ლონდონის ჰევის რაიონის ბავშვებს მოხმარდება. ამის შესახებ ინფორმაციას The Times-ი ავრცელებს. ის აღნიშნავს, რომ მოსალოდნელი აუქციონი კრიკეტის კლუბში Lord's Taverners, რომლის გუნდთანაც პინტარის მიერ ორგანიზებული, მსახიობებისგან და მწერლებისგან დაკომპლექტებული Caeties Cricket Club-ი ითამაშებს. ამ უკანასკნელის ინტერესების დასაცავად მონვეული არიან: მაიკლ გემბორი, პინტარის უახლოესი მეგობარი და ასევე, მაიკ ათერტონი, კრიკეტში ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი.

ჰაროლდ პინტარი კრიკეტის დიდი თავყვანისმცემელი იყო. მისი პორტრეტი, რომელსაც მალე კლუბში Lord's Taverners გაყიდვან, მხატვარმა ჯო ჰილმა შექმნა. ამ ნამუშევარზე დრამატურგი ისეა გამოსახული, რომ პინტარის კუმირს და კრიკეტის ცნობილ ინგლისელ მოთამაშეს - ლეონარდ ჰატიონს მოგაკონებთ. ეს ნახატი მწერალს საკუთარ სახლში, სამუშაო კაბინეტში ეკიდა. მისი გაყიდვის თანხმობა სწორედ ანტონია ფრეზერმა გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ ამ პორტრეტის შექმნის სურვილით კლუბში უკვე გაისმა რამდენიმე ანონიმური ზარი. მასში ჯერ მხოლოდ ოთხი ათას ფუტ სტერლინგს (5,9 ათასი დოლარი) იძლევიან, მაგრამ აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ გამოჩნდებიან მსურველები, რომლებიც მასში გაცილებით მეტს გადაიხდიან და ამით საქველმოქმედო საქმიანობაში განსაკუთრებულ წვლილს შეიტანენ. ეს მაგალითი კი დასტურია იმისა, რომ ანტონია ფრეზერი მეუღლის ხსოვნას უფრო თხილდება.

დონ კოვანო
Wolfgang Amadeus Mozart
თანამედროვე ოპერა ორ აქტში
9, 12, 22 JUNE 19.00
TEL: 93 32 48, 93 37 58, 8 93 20 60 40 WWW.OPERA.GE

საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს ტენდერს პარლამენტის შენობის (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N8) "A" და "B" კორპუსების ფასადებზე არსებული 370 კვ.მ. ხის კარ-ფანჯრების დემონტაჟისა და ოთხკამერიანი მეტალოპლასტიკის მასალისაგან დამზადებული ახლის მონტაჟისა და სხვა თანამდევნი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
- ტენდერში გამარჯვებულმა შესყიდვის ობიექტის მონტაჟი უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ANსამი თვის ვადაში შემსყიდველთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთი დახურული კონვერტი) სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ ქართულ ენაზე 2009 წლის 1 ივლისის 09:00 საათიდან 1 ივლისის 15:00 საათამდე. კონვერტები გაიხსნება 1 ივლისის 15:00 საათზე. მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8, საქართველოს პარლამენტი, ტელ: 28-13-69 ან 28-15-63.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
 - იურიდიულ პირთათვის:
 - ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
 - ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
 - ცნობა საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
 - ფიზიკურ პირთათვის:
 - ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
 - ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
 - ცნობა მასზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ, დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
- სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისთვის საბანკო გარანტია წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
- ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახითა და ოდენობით: საბანკო გარანტია სატენდერო თანხის 3%-ის ოდენობით.
- ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახელმწიფო ხაზინა კოდი 220101222, მიმღების ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 302004100, საგადასახადო დავალებში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული "საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი") 2009 წლის 11 ივნისის 10:00 საათიდან 30 ივნისის 18:00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8. საქართველოს პარლამენტი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
- პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს პარლამენტში, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის N8, ტელ: 28-13-69 ან 28-15-63 ივანე სულხანიშვილი.

საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ღია აუქციონს კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალქალაქსა და წინარესში 150-150 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე კავშირგაბმულობის საბაზო სადგურების განთავსებაზე.

აუქციონსუ გამოტანილი იქნება კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების ახალქალაქის და წინარესის ტერიტორიაზე განთავსებული 150-150 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები:

ლოტი №	მიწის უძრავი ქონების სარეგისტრაციო №	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა	სარეგისტრაციო №	ნაკვეთის ფუქცია	ფართობი კვ.მ.	მიწის ნაკვეთის ღირებულება (ლარი)	ბიჯი (30%)	„ბე“-ს ოდენობა	გასყიდვი ფასი (ლარი)
1	6717350	სოფ. ახალქალაქი	118	სასოფლო-სამეურნეო	150	7000	2100	2730	9100
2	67/07	სოფ. აღაიანი	119	სასოფლო-სამეურნეო	150	7000	2100	2730	9100

ღია აუქციონში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ, იურიდიულ პირებს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია. საკუთრების უფლება გადაეცემა მყიდველს რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

ინფორმაცია განცხადების მიღების შესახებ:

აუქციონი გაიმართება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს 15 საათზე. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. ქ. კასპი მურაბ კონსტავას №18. განცხადებების მიღება მიმდინარეობს აუქციონის დღის ჩათვლით 14 საათამდე, იმ შემთხვევაში როდესაც ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირი ვალდებულია გადაიხადოს მონაწილის ბილეთის საფასური (50 ლარი) და „ბე“ მიწის ნაკვეთის საწესის საპროგნოზიზაციო ფასის - 30 %, სახალხო ბანკის კასპის ფილიალში, შექმნილი ანგარიშზე: №33030056, სახაზინო კოდი 220101478.

- აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველი სააქციონერო კომისიას წარუდგენს:
- განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების დასახელებას, იმ ქონების საწესის ფასს რომლის შეძენაც სურს მონაწილეს.
 - „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.
 - პირადობის მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
 - ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობებს, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
 - სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
- მონაწილემ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაში უნდა გადაიხადოს თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებისათვის ცალ-ცალკე.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა

განცხადება პირობიანი აუქციონის ჩატარების შესახებ სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემაზე

შ.პ.ს "ქუთაისის აეროპორტი" აცხადებს პირობიან აუქციონს:

- ლოტი - მის დაქვემდებარებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით (იჯარით) გაცემაზე კაფე-ბარის მოსაწყობად. გაიცემა 40 მ/კვ ფართი, რომელიც მდებარეობს კოპიტნარის აროპორტის აეროვაგზლის შენობაში. ქონება იჯარით გაიცემა 2 წლის ვადით. საწყისი საიჯარო ქირა წლიურად შეადგენს 1350 (ცხრაასი) ლარს დ.დ.გ-ს გარეშე. გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი თვის შემდეგ პროპორციულად ყოველი თვის 10 რიცხვამდე. საიჯარო ქირის აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება არანაკლებ საწყის საიჯარო ქირას დამატებული ბიჯის ოდენობა. აუქციონში მონაწილეობის წინასწარი შესატანი "ბე" -- 50 ლარი. სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 90 ლარი. აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 10 ლარი.
- ლოტი - მის დაქვემდებარებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით (იჯარით) გაცემაზე ბარგის შესაფუთი მაგიდის მოსაწყობად. გაიცემა 3 მ/კვ ფართი, რომელიც მდებარეობს კოპიტნარის აროპორტის აეროვაგზლის შენობაში. ქონება იჯარით გაიცემა 2 წლის ვადით. საწყისი საიჯარო ქირა წლიურად შეადგენს 650 (ექვსასორმოცდაათი) ლარს დ.დ.გ-ს გარეშე. გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი თვის შემდეგ პროპორციულად ყოველი თვის 10 რიცხვამდე. საიჯარო ქირის აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საიჯარო ქირის შემოთავაზება არანაკლებ საწყის საიჯარო ქირას დამატებული ბიჯის ოდენობა.

აუქციონში მონაწილეობის წინასწარი შესატანი "ბე" -- 50 ლარი. სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 70 ლარი. აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასური - 10 ლარი.

- აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი მიიღება პრესაში ამ საინფორმაციო ცნობის გამოცხადებიდან ორი კვირის განმავლობაში 11 საათიდან 2009 წლის (რიცხვი, თვე, საათამდე). მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N85. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის (რიცხვი, თვე) ქ. ქუთაისში შ.პ.ს. "ქუთაისის აეროპორტი"-ს ადმინისტრაციულ შენობაში --- საათზე. მისამართი: რუსთაველის გამზირი N85. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა აუქციონის "რეგისტრატორს" უნდა წარუდგინოს განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას, თანხმობას, რომ იჯარით აღებულ ქონებას გამოიყენებს მხოლოდ დანიშნულებით და იმ პირობით, როგორც ამ ცაინფორმაციო ცნობაშია მითითებული. --- "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს. --- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს. (ფიზიკური პირის შემთხვევაში). --- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს დამონებულს ნოტარიუსით და განაცხადის შემოტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან. (იურიდიული პირის შემთხვევაში). --- ნოტარიულად დამონებულ მინდობილობის ასლს თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით. "ბე"-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: N2433607 საიდ/კოდი: 212671973. მფო: 220101605. ს.ს "ვი თი ბი" ჯორჯია ბანკის ქუთაისის ფილიალი. საზოგადოების პრივატიზების შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები). დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზირი N85. ტელ: 8(231) 4-25-68. 8(231) 1-45-28 მობ: 899 51 47 04. 897 55 62 33

სპორტი

"ჰაინეკენის თასზე" ქართველთა მატოქები გაიჩვენა

ევროპული საკლუბო რაგბის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში "ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში მონაწილე, 2009-10 წლების სეზონში ორი ქართველი ითამაშეს: დავით ზირაქიშვილი "კლერმონის" შემადგენლობაში, ხოლო დავით ხინჩაგვილი - "ბრივის".

გაიმართა მომავალი გათამაშების ჯგუფური ეტაპის წილისყრა. საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი "კლერმონი" ჯგუფში ინგლისურ "ლესტერთან", უელსის "ოსპრეისთან" და იტალიურ "ვიადანასთან" ერთად მოხვდა, ხოლო "ბრივი" მეექვსე ჯგუფში

"ჰაინეკენის თასის" გამარჯვებულ ირლანდიურ "ლინსტერთან", ინგლისურ "ლონდონ აირიშთან" და უელსის "სკარლეთსთან" ერთად ითამაშებს.

ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ მეხუთე ჯგუფში მოიყარა თავი, სადაც "ტულუზა" (საფრანგეთი), "კარდიფი" (უელსი), "სეილ შარქსი" (ინგლისი) და "ჰალივინსი" (ინგლისი) ითამაშებენ. ქართული წარმომოხის, მაგრამ საფრანგეთის პასპორტის მქონე დიმიტრი იაშვილის "ბიარიცი" მეორე ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები "გლოსტერი" (ინგ-

ლისი), "ნიუპორტი" (უელსი) და "გლაზგო" (შოტლანდია) იქნებიან.

2009/2010 წლების "ჰაინეკენის თასის" პირველი ტურის მატჩები 9-11 ოქტომბერს გაიმართება, 1/4-ფინალში კი, ჯგუფის ექვს გამარჯვებულთან ერთად, მეორე ადგილზე გასული ორი საუკეთესო გუნდი გავა.

პირველი ჯგუფი: მანსტერი (ირლანდია), პერპინიანი (საფრანგეთი), ნორთჰემპტონი (ინგლისი), ტრევიზო (იტალია);

მეორე ჯგუფი: ბიარიცი (საფრანგეთი), გლოსტერი (ინგლისი), ნიუპორტი (უელსი),

გლაზგო (შოტლანდია);

მესამე ჯგუფი: ლესტერი (ინგლისი), ოსპრეი (უელსი), კლერმონი (საფრანგეთი), ვიადანა (იტალია);

მეოთხე ჯგუფი: ბათი (ინგლისი), სტად ფრანსე (საფრანგეთი), ოლსტერი (ირლანდია), ედინბურგი (შოტლანდია);

მეხუთე ჯგუფი: ტულუზა (საფრანგეთი), კარდიფი (უელსი), სეილ შარქსი (ინგლისი), ჰალივინსი (ინგლისი);

მეექვსე ჯგუფი: ლინსტერი (ირლანდია), ლონდონ აირიში (ინგლისი), სკარლეთსი (უელსი), ბრივი (საფრანგეთი).

ხიზანიშვილი იყიდება

ბრიტანული "მირორის" ინფორმაციით, ბლექ-ბერნი მზადაა, ზურაბ ხიზანიშვილი "გალათასარაის" მიჰყიდოს.

კლუბის წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად ამ კვირაში ჩავლენ ინგლისში. კონტრაქტის შესათანხმებლად სტამბულური კლუბის დირექტორი ემრე გუნგორ სერვეთი გაემგზავრება.

"მირორის" თქმით, ხიზანიშვილი მოწადინებულია "გალათასარაიში" გადასასვლელად. "ბლექ-ბერნის" თავკაცი სემ ელერდაისი თანახმაა, ქართველი ფეხბურთელი გაუმვას და მის სანაცვლოდ კლუბმა სატრანსფერო თანხა მიიღოს.

პერესმა კაკას ვილია მიაყოლა

თავდაპირველად კაკას "რეალში" გადასვლის თაობაზე ესპანურმა გაზეთმა "მარკამ" დაწერა. ერთი შეხედვით ჭორი საბოლოოდ სრული სიმართლე გამოდგა და კაკა უკვე "რეალის" ფეხბურთელია. გუშინ ამავე გაზეთმა მორიგი ტრანსფერის შესახებ გაავრცელა ცნობა. "მარკა" ირწმუნება, რომ პერესი უკვე შეუთანხმდა "ვალენსიას" მესვეურებს და დავიდ ვილია მომავალი სეზონიდან, კაკასთან ერთად, "რეალში" ითამაშებს.

ფორვარდის სანაცვლოდ "ლაშურები" 37 ან 38 მილიონ ევროს მიიღებენ. მადრიდელთა რიგებში ფეხბურთელის წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში, "ვალენსიას" დამატებითი ბონუსები ეკუთვნის. "მარკას" ინფორმაციით, "სამეფო კლუბი" ვილიას უახლოეს მომავალში მასმედიას წარუდგენს.

"ესპანიოლმა" კამენი შეინარჩუნა

კამერუნის ნაკრებისა და "ესპანიოლის" მეკარის კარლოს კამენის გადაბირებას არაერთი კლუბი ცდილობდა. მაგრამ მეკარემ თავის კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 2013 წლამდეა გათვალისწინებული.

კამენი "ესპანიოლში" 2004 წელს "ლე ავირდან" გადავიდა და პრიმერა დივიზიონში 152 მატჩი ჩაატარა. კამერუნის ნაკრებში ის 2001 წლიდან გამოდის და 52 შეხვედრა გამართა. 25 წლის მეკარეს კლუბთან კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდებოდა და, წინასწარი ინფორმაციით, აფრიკელი "ესპანიოლში" დარჩენას აღარ აპირებდა. თუმცა საბოლოოდ ესპანელებთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

ჰოლანდიელი მცველი "ბაიერნში"

მიუნხენის "ბაიერნმა" გადაიბირა ჰოლანდიური "ტვენტეს" მცველი ედსონ ბრაფჰეიდი, რომელთანაც ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

26 წლის ჰოლანდიელის შექენა, რომელმაც "ტვენტეს" რიგებში ორი სეზონის განმავლობაში ერედვიზიონში 49 მატჩი გამართა, მაგრამ გოლი არ გაუტანია, მიუნხენელებს 2,5 მილიონი ევრო დაუფუძლათ.

"იშვიათად ხდება, რომ "ტვენტეს" ფეხბურთელი ასეთი დონის კლუბში გადადის. ვისაც მსგავსი ტრანსფერის განხორციელება ვუსურვებდი, სწორედ ედსონი გახლავთ. ის ყოველთვის მიზანმიმართული იყო და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მცველად ჩამოყალიბდა. სეზონის დასრულების შემდეგ უკვე ცნობილი იყო, რომ ის "ტვენტეში" დარჩებოდა ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რომელიმე სუპერკლუბში გააგრძელებდა კარიერას. ბრაფჰეიდს წარმატებას ვუსურვებთ," - განაცხადა "ტვენტეს" პრეზიდენტმა იოჰ მიუნსტერმანმა.

ტიტი კამარა გვინესი ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა

წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი ტიტი კამარა, რომელმაც გვინესის ნაკრებსა და ინგლისურ "ლივერპულში" თამაშით დაგვამახსოვრა თავი, გვინესის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

36 წლის კამარამ გვინეელთა თავკაცის პოსტზე შეცვალა ფრანგი რობერ ნუზარეტი, რომელსაც 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კოტ დ'ივუართან მატჩში 1:2 წაგების შემდეგ დაათხოვეს თანამდებობა.

კამარა, რომელმაც კარიერის მანძილზე გვინესის ნაკრებში 38 მატჩი ჩაატარა და 23 გოლი გაიტანა, აქამდე გუნდში ტექნიკური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა.

ორი ქართველი "ჰაინეკენს" საპემოდგომოდ დააბემოვნებს

სარაგბო სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი "ჰაინეკენის თასი" უმნიშვნელო იქნებოდა ჩვენთვის რომ არა ქართველთა ბურთაობა ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირზე. ლუდის მოყვარულთა ასოციაციები ვერდზე გადავდეთ და ის ვთქვათ, რომ "ჰაინეკენის თასზე" საქართველოს ნაკრების ორი წევრის დავით ზირაქაშვილისა და დავით ხინჩაგვილის და შესაბამისად მათივე კლუბების - "კლერმონისა" და "ბრივის" 2009/2010 წლების გათამაშების ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა შედგა.

საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი "კლერმონი", მესამე ჯგუფში ინგლისურ "ლესტერთან", უელსის "ოსპრეისთან" და იტალიურ "ვიადანასთან" ერთად მოხვდა, ხოლო "ბრივი", მეექვსე ჯგუფში "ჰაინეკენის თასის" გამარჯვებულ ირლანდიურ "ლინსტერთან", ინგლისურ "ლონდონ აირიშთან" და უელსის "სკარ-

ლეთსთან" ერთად ითამაშებს.

The Guardian-ის ინფორმაციით, ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ მეხუთე ჯგუფში მოიყარა თავი, სადაც "ტულუზა" (საფრანგეთი), "კარდიფი" (უელსი), "სეილ შარქსი" (ინგლისი) და "ჰალივინსი" (ინგლისი) ითამაშებენ. აქვეა ტომით ქართველის, მაგრამ საფრანგე-

თის მოქალაქე დიმიტრი იაშვილის "ბიარიცი", რომელიც მეორე ჯგუფშია გადანაწილებული. მეტოქეებად კი ჰყავს "გლოსტერი" (ინგლისი), "ნიუპორტი" (უელსი) და "გლაზგო" (შოტლანდია).

2009/2010 წლების "ჰაინეკენის თასის" პირველი ტურის შეხვედრები 9-11 ოქტომბერს გაიმართება, მეოთხედფინალში კი, ჯგუფის ექვს გამარჯვებულთან ერთად ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა.

პირველი ჯგუფი: მანსტერი (ირლანდია), პერპინიანი (საფრანგეთი), ნორთჰემპტონი (ინგლისი), ტრევიზო (იტალია);

მეორე ჯგუფი: ბიარიცი

(საფრანგეთი), გლოსტერი (ინგლისი), ნიუპორტი (უელსი), გლაზგო (შოტლანდია);

მესამე ჯგუფი: ლესტერი (ინგლისი), ოსპრეი (უელსი), კლერმონი (საფრანგეთი), ვიადანა (იტალია);

მეოთხე ჯგუფი: ბათი (ინგლისი), სტად ფრანსე (საფრანგეთი), ოლსტერი (ირლანდია), ედინბურგი (შოტლანდია);

მეხუთე ჯგუფი: ტულუზა (საფრანგეთი), კარდიფი (უელსი), სეილ შარქსი (ინგლისი), ჰალივინსი (ინგლისი);

მეექვსე ჯგუფი: ლინსტერი (ირლანდია), ლონდონ აირიში (ინგლისი), სკარლეთსი (უელსი), ბრივი (საფრანგეთი).

იბრაჰიმოვიჩი თანახმაა

"ინტერი", "ბარსელონა" და ზღაპრად იბრაჰიმოვიჩი შეთანხმდნენ - იმისთვის, რომ მოხერხდეს გაცვლა - იბრაჰიმოვიჩი "ბარსელონაში", ეტო'ო კი - "ინტერში" - მხოლოდ კამერუნელი ფორვარდის თანხმობაა საჭირო.

თავდაპირველად მასიმო მორატი ზღაპრად 40 მილიონ ევროს და ეტო'ოს ითხოვდა, თუმცა საბოლოოდ ორი კლუბი შეთანხმდა, რომ "ბარსელონა" მხოლოდ 10 მილიონს გადაიხდის. ესპანური მედიის ცნობით, მორატი იბრაჰიმოვიჩის თხოვნით წავიდა დათმობაზე. შედეგად ფორვარდს "ინტერში" დარჩენა აღარ სურს, რადგან მიაჩნია, რომ "ბარსელონაში" ჩემპიონთა ლიგის მოგების მეტი შანსი აქვს.

შესაძლოა ეს ტრანსფერი დღესვე განხორციელდებოდა, მაგრამ შექმნილ ვითარებაში ეტო'ოს ინტერესებიც გასათვალისწინებელია. კამერუნელი მხოლოდ იმ პირობით დათანხმდება "ინტერში" გადასვლაზე, თუ ხუთწლიანი კონტრაქტს გაუფორმებენ და მთლიანობაში მისი ანაზღაურება 65 მილიონი ევრო იქნება, ესე იგი, წელიწადში 13 მილიონი ევრო. ეს იმდენივეა,



კავკლიან თუ არა ეს ფეხბურთელები კლუბებს. ეტო'ოზეა დამოკიდებული

რამდენსაც "ინტერი" იბრაჰიმოვიჩს უხდის.

მილანური კლუბის მესვეურებს კი ეტო'ოს პირობების დაკმაყოფილება არ სურთ. ამავე დროს ცნობილია, რომ ეტო'ო "ბარსელონასაც" ვერ შეუთანხმდა ახალ კონტრაქტზე. ეს კი

კატალონიური კლუბისთვის საშიშია. საქმე ის არის, რომ თუ კამერუნელთან ახალვე არ გაფორმდა ახალი კონტრაქტი და ეტო'ომ მომავალი სეზონიც "ბარსელონაში" გაატარა, მომავალი სეზონის დასრულებასთან ერთად ის თავისუფალი აგენტი

გახდება და "ბარსელონაში" შესაძლოა ფეხბურთელი კომპენსაციის გარეშე დაეკარგოს.

გასულ სეზონშიც დაახლოებით ასეთი ვითარება შეიქმნა. გვარდიოლა მზად იყო გაემგზავნებინათ კამერუნელი, თუმცა ეტო'ო მანც "ბარსელონაში" დარჩა.

კურჩი "რომაში" ბრუნდება

იტალიელი მეკარის ჯანლუკა კურჩის აგენტი კლაუდიო სკლოზი აცხადებს, რომ მისი 23 წლის კლიენტი შესაძლოა "რომაში" დაბრუნდეს, კურჩი თავის დროზე იცავდა დედაქალაქური კლუბის ღირსებას, თუმცა გასული სეზონი "სიენაში" გაატარა და მალალ დონეზეც ითამაშა. "სიენაში მან მთელი თავისი ოსტატობა გამოავლინა და რეგულარულად თამაშის საშუალება ჰქონდა. თავის დროზე კურჩი კარგად თამაშობდა "რომას" რიგებშიც, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული რომ ჰქონოდა, ოსტატობას აიმაღლებდა. შესაძლოა, ის "რომაში" დაბრუნდეს, თუმცა, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება კლუბის ხელმძღვანელობაზე, რომელმაც "სიენასთან" ერთად კურჩის მომავალი უნდა გადაწყვიტოს. მასზე ხომ ორივე კლუბს აქვს უფლება", - ამბობს სკლოზი.

იტალიის ნაკრების მომავალი როსის უკავშირდება

იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს მარჩელო ლიპის მიაჩნია, რომ "სკუადრა აძურას" მომავალი "ვილიარეალის" ახალგაზრდა ფორვარდს ჯუზეპე როსის უკავშირდება.

"როსი ნამდვილი ახალგაზრდა ჩემპიონია და ჩვენს მომავალს სწორედ მის სახელს ვუკავშირებ. მან უკვე მოასწრო ევროპის სამ ნამყვან საფეხბურთო ლიგაში - ინგლისში, იტალიასა და ესპანეთში გამოსვლა. როსის თამაში შეუძლია როგორც მეორე ფორვარდად, ისე ცენტრალურ თავდამსხმელად. დღეს თავდამსხმელის ასეთი უნივერსალიზმი დასაფასებელია. ნახეთ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში მესი როგორ თამაშობდა?" - ამბობს დონ მარჩელო.

ტონი "ბარსელონაში"?

